**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის**

**სასწავლო უნივერსიტეტი**

სამართლის ფაკულტეტი

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

# დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და გასაჩივრების თავისებურებანი

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

**სტუდენტი:** **ქეთევან ვარშანიძე**

**ნაშრომის ხელმძღვანელი:** **ნინო ხუნაშვილი**

**(ასოცირებული პროფესორი)**

**თბილისი**

**2021**

# შინაარსი

ანოტაცია ..... 4

Annotaion ..... 5

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა ..... 6

შესავალი ..... 8

თავი 2. დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსი და პირობები ..... 10

თავი 3. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პირობები და წესი ..... 14

3.1 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ..... 14

მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო ..... 14

3.1.2 შედარებითი ანალიზი გერმანიის საპროცესო კანონმდებლობასთან ..... 18

3.2 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მოსარჩელე მხარის გამოუცხადებლობის გამო ..... 19

3.3 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო ..... 21

3.4 ორივე მხარის გამოუცხადებლობის შედეგები ..... 23

3.5 სხდომაზე გამოცხადებული მხარის პროტესტი როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა ..... 25

3.6 მეორე და განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება ..... 29

თავი 4. დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი, მიღების დაუშვებლობის საფუძვლები და გასაჩივრების წესი ..... 32

4.1 დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობის საფუძვლები ..... 32

4.2 დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი ..... 36

4.3 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი ..... 37

4.4 სასამართლოს უფლებამოსილება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისას ..... 41

თავი 5. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებანი სააპელაციო ინსტანციაში ..... 43

5.1 სააპელაციო ინსტანციის არსი ..... 43

5.2 მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ..... 44

5.3 შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ..... 46

თავი 6. მხარეთა სათანადო ინფორმირება, როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებელი პირობა ..... 48

6.1 სასამართლო უწყების ჩაბარების წესი .....48
6.2 საჯარო შეტყობინება.....49
6.3 წარმომადგენლის სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგი.....51
თავი 7. კვლევის შედეგები ..... 53
დასკვნა ..... 54
ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა ..... 57

# ანოტაცია


სამოქალაქო ურთიერთობებში დარღვეული უფლების, დარღვეული ბალანსის აღდგენის მიზნით მართლმსაჯულების განხორციელების უფლება აქვთ საერთო სასამართლოებს საქართველოს სახელით.

სამოქალაქო პროცესის მონაწილეს აქვს გონივრული მოლოდინი, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას დაცული იქნება პირის უფლებების, პატივისა და ღირსებისადმი პატივისცემა. დაცული იქნება კანონიერება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა.

დღეს არსებული საპროცესო კანონმდებლობა იცნობს სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას ერთი მხარის წინააღმდეგ საქმის არსებითი განხილვის, წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევისა და მხარეთა მოსაზრებების მოსმენის გარეშე.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთი საყურადღებო და ამასთან სადავო ინსტიტუტია.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის შემოღების მთავარ მიზანს წარმოადგენდა შეჯიბრობითობის პრინციპის განხორციელება, მხარეთა პასუხისმგებლობის და ცნობიერების ამაღლება მათ მიერ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებზე თუ უმოქმედობებზე, დავების გადაწყვეტის დაჩქარება და სასამართლო სისტემის განტვირთავა. თუმცა, პრაქტიკაში აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ინსტიტუტი სრულად ვერ ამართლებს დაკისრებულ ამოცანებს.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების თეორიული და პრაქტიკული პრობლემები, მათი შედარებითი ანალიზი და გარკვეულწილად მათი გადაჭრის გზები.

# Annotaion

Common courts have the right to administer justice on behalf of Georgia to restore the violated rights in civil relations and restore the disturbed balance.

A participant in a civil proceeding has a reasonable expectation that justice will be administered due regard to the rights, honor, and dignity of the person. The rule of law will be respected as one of the main conditions of the functioning of the rule of law.

The current procedural law recognizes the possibility of a court decision in absentia without a substantive hearing of the case against one party, examination of the evidence presented, and hearing the opinions of the parties.

A default judgment is one of the most important and controversial institutions of procedural law.

The main purpose of introducing the institution of default judgment was to implement the principle of adversarial proceedings, to raise the responsibility and awareness of the parties to their procedural actions or omissions, to accelerate the resolution of disputes, and to relieve the judiciary. However, in practice, it turned out that the mentioned institution could not fully execute the assigned tasks.

The present paper discusses the theoretical and practical problems of default judgment, their comparative analysis, and, to some extent, the ways to solve them.

# თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო ნორმატიული აქტები, როგორიცაა ადამიანის და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი; საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 1997 წლის 14 ნოემბერი, სამოქალაქო კოდექსი 1997 წლის 26 ივნისი, საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ 2009 წლის 4 დეკემბერი. გამოვიკვლიე შემდეგი სამეცნიერო ლიტერატურა, სტატია, ნაშრომი: შალვა ქურდაძე, ნინო ხუნაშვილი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, ლელა თვარაძე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მნიშვნელობა და მისი მიღების წინაპირობები სამოქალაქო პროცესში, ირმა მერებაშვილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში. აღნიშნული ნაშრომები გამოვიყენე თემის პირველი თავის - დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსი და პირობები გამოსაკვლევად და განსახილველად.

ნაშრომის მეორე თავი დაეთმობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პირობებსა და წესს, რომელზე მუშაობისას გამოვიყენე სიმონ ჩხაიძის ნაშრომი „დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში-ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი“, ფრიდონ ბასილაიას „მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობის შედეგები“, მარიამ ირემაშვილის „შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შედარებითი ანალიზი საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით“, ლეილა არხოშაშვილის „პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხები, რომლებიც ეხება სარჩელისგან მოპასუხის პროცესუალურ თავდაცვის საშუალებებს“, ირმა მერებაშვილის „დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის  თავისებურებები I და II ინსტანციის სასამართლოებში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობების მიხედვით“, თ. ლილუაშვილის და ვ. ხრუსტალის „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენატარები“.

წინამდებარე ნაშრომის მესამე და მეოთხე თავი დაეთმობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თავისებურებებს პირველ და მეორე ინსტანციაში. აღნიშნულთან დაკავშირებით ზემოხსენებული ლიტერატურის გარდა, გამოვიყენე თენგიზ ლილუაშვილის „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები“ ავტორთა კრებული, ასევე განხილული იქნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა.

ნაშრომის მეხუთე თავი მთლიანად დაეთმობა მხარეთა სათანადო ინფორმირებას, როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობას. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ასევე

გამოვიყენე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება.

ასევე ვხვდებით სხვადასხვა სტატიას, ნაშრომს და ონლაინ ლექციას ნაშრომის თემის გარშემო.

ყველა გამოყენებულ ლიტერატურასა თუ წყაროში განხილულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული ასპექტები. გაანალიზებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსის და დანიშნულების კარგად გასარკვევად, ნაშრომში მოყვანილია მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან.

ყველა გამოყენებული მასალა იძლევა საშუალებას ნათლად დაგვანახოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ყველა მნიშვნელოვანი მხარე, ასევე პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნულ ინსტიტუტთან.

# შესავალი

**კვლევის აქტუალობა:** სასამართლო დაცვის უფლება კონსტიტუციური უფლებაა. სასამართლო მოწოდებულია ყველა ზომით დაიცვას მოქალაქეთა და ორგანიზაციათა უფლებები და ინტერესები. სასამართლოში საქმეთა დროულად და სწრაფად გადაწყვეტა თავისთავად ხელს უწყობს კანონიერების განმტკიცებას, მოქალაქეთა კანონისადმი პატივისცემას და და სამართალდარღვევების თავიდან აცილებას.

მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამართლიანი სასამართლოს ფორმირებაში, ადამიანთა ცნობიერების ამაღლებაში, აქტიურობის გაზრდაში.

მართლმსაჯულების განხორციელება სამოქალაქო საქმეებზე უზრუნველყოფს კანონის სათანადოდ გამოყენებას, სუბიექტებს შორის კონფლიქტის მოგვარების მექანიზმის გაუმჯობესებას და დარღვეული ბალანსის აღდგენას სამოქალაქო სამართალურთიერთობებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დაფუძნებულია დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე. სწორედ, შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად, მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით დაადასტურებენ ფაქტებს, მხარეებზეა დამოკიდებული მიიღებენ თუ არა მონაწილეობას სასამართლო განხილვის პროცესში. სასამართლო გადაწყვეტილება კი მიღებული უნდა იქნეს ყველა ფაქტობრივი გარემოების, მასთან დაკავშირებული მტკიცებულებების გამოკვლევის საფუძველზე.

სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების ერთადერთი მიზანია მიიღოს სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება.

შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დაუსწრებელი პროცედურა, რასაც უწოდებენ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

საპროცესო კანონმდებლობაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების შემოღება განპირობებულია პროცესში შეჯიბრობითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების განსამტკიცებლად. თუმცა, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, ჩვეულებრივი გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანება მტკიცებულებების ყოველგვარი გამოკვლევისა და სამართლებრივი შეფასების გარეშე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავში განხილულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მისი სახეები, არსი და შინაარსი, გასაჩივრება, დაუშვებლობა და სხვა.(საქართველოს პარლამენტი, 1997)

**კვლევის მიზანი:** ჩემი კვლევის მიზანია დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის უკეთ გაგება, ქართულ სამართალში დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან არსებული სამეცნიერო მიდგომების და სასამართლო პრაქტიკის პრობლემების ანალიზი და წინადადების შემუშავება გამოვლენილი ხარვეზული ნორმების სრულყოფის მიზნით.

**კვლევის ამოცანა:** უკეთ დაგვანახოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების, გასაჩივრების ყველა ასპექტი და გამოწვევა, უკეთ წარმოაჩინოს ყველა ის საკანონმდებლო ხარვეზი და ნაკლი რაც თავს იჩენს სარჩელის სასამართლოს კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპიდან დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებამდე.

**კვლევის მეთოდები:** კვლევა ჩატარდება ისეთი მეცნიერული მეთოდების გამოყენებით, როგორიც არის ლოგიკური ანალიზის მეთოდი და შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდი.

# თავი 2. დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსი და პირობები

სასამართლოს მეშვეობით სამოქალაქო უფლებების დაცვა ხორციელდება ამ უფლებების აღიარებით, შესაძლოა, იმ მდგომარეობის აღდგენით, რომელიც უფლების დარღვევამდე არსებობდა, ან უფლების დამრღვევი მოქმედების აღკვეთით, ანდა სამართალურთიერთობის შეცვლით ან შეწყვეტით და სხვა. სწორედ ამ მიზნით, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელიც თავისთავად წარმოადგენს უფლებების დაცვის აქტს. სასამართლო გადაწყვეტილება არის მართლმსაჯულების აქტი. სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იყოს გასაგები და შეიცავდეს კონკრეტულ დასკვნებს. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს მხარეთა დავა და ზუსტად განსაზღვროს მათ შორის არსებული უფლებები და მოვალეობები.სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთი დაუსწრებელი გადაწყვეტილებაა.[1]

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი ცნობილია მსოფლიოს მრავალი სამართლებრივი სისტემისთვის და მისი გამოყენება რეკომენდირებულია, როგორც ეფექტური სამართლებრივი საშუალება.[2]

დაუსწრებელი გადაწყვეტილების, საპროცესო ინსტიტუტის ჩამოყალიბება უკავშირდება საბჭოთა საქართველოში საქმეთა განხილვის გაჭიანურებულ პრაქტიკას.[3]

ჩვენში აღნიშნული ინსტიტუტის შემოღების სოციალურ-ეკონომიკური და იურიდიული მიზეზი შემდეგია: მხარე რწმუნდება, რომ უიმედოა უფლების დაცვა, ასევე ამის მიზეზია, თავისუფალი დროის უქონლობაც აუცილებელი ფორმალობების შესასრულებლად, სამართალწარმოების დეტალების არცოდნაც, როცა მხარეს არ ჰყავს ადვოკატი. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა, ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიის სამოქალაქო პროცესშიც.

სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი უზრუნველყოფს მხარეთა მიერ საპროცესო ვალდებულებების შესრულებისადმი პატივისცემისა და მათი პასუხისმგებლობის დონის ამაღლებას. ის ემსახურება საპროცესო დისციპლინის განმტკიცებასა და პროცესის გამარტივებას.[4]

---

[1] ი. მერებაშვილი. დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში. მართლმსაჯულება, N3, 2007, გვ.143

[2] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2015, გვ.632

[3] ლ. თვარაძე. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მნიშვნელობა და მისი მიღების წინაპირობები სამოქალაქო პროცესში. სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის პირველი სამეცნიერო კრებული, სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, გორი, 2011, გვ.97

[4] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2015, გვ.632

დაუსწრებელი წარმოებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი წარმოადგენს შეჯიბრობითობის პრინციპის განხორციელების, მხარეთა მოქმედებების (უმოქმედობის) გამო მხარეთა პასუხისმგებლობის დონის ამაღლების დამატებით გარანტიას, ხელს უწყობს დავების გადაწყვეტის დაჩქარებას, განტვირთავს სასამართლოებს. დაუსწრებელი წარმოება  სამოქალაქო საქმეთაა განხილვისა და გადაწყვეტის გამარტივებული ვარიანტია, როცა სხდომაზე არ ცხადდებიან სათანადო წესით დაბარებული მხარეები, რომლებმაც არ შეატყობინეს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები, ან როცა მოპასუხე არ წარმოადგენს შესაგებელს სარჩელის წინააღმდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.[5]

დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი შინაარსით არის საქმის განხილვაში ერთ-ერთი მხარის მონაწილეობის გარეშე მიღებული გადაწყვეტილება. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის მიზანია: სასამართლოს ეფექტიანი საქმიანობა; სასამართლო დავების სწრაფად და გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტა; მხარეთა „იძულება“, განახორციელონ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები - საქმის განხილვაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა და ხელი შეუწყონ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანაში.[6]

დაუსწრებელი გადაწყვეტილების შემოღება განპირობებულია პროცესში შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის საწყისების აბსოლუტური სახით აღორძინებით, რომლებიც გამორიცხავენ სასამართლოს ჩარევას (კონტროლს) კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში.[7]

წინა საუკუნის დასაწყისში მოღვაწე, ცნობილი პროფესორ ი.ე.ენგელმანის მოსაზრებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება საპროცესო კანონმდებლობაში შემოღებული იყო, რათა მოპასუხეს გადაკეტვოდა სასამართლოში გამოუცხადებლობის მეშვეობით სასამართლო გადაწყვეტილებისაგან თავის არიდების შესაძლებლობა. XV-XVI საუკუნეებში იტალიურ და შემდეგ გერმანულ კანონმდებლობაში მხარის პროცესზე იძულებითი მოყვანის სანქციები შეცვლილი იყო იმ ნორმებით, რომლებიც მოპასუხის პროცესზე გამოუცხადებლობას იხილავდა იმის პირობად, რომ მოსარჩელეს შეეძლო სასამართლოში წარედგინა თავისი მტკიცებულებები და დასკვნები, რომელთა საფუძველზე სასამართლო გამოიტანდა გადაწყვეტილებას. ძალიან ხშირად ასეთ ცალმხრივ საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა უსამართლო ყოფილიყო, მაგრამ მაშინდელი შეხედულების მიხედვით, სასამართლოში გამოუცხადებლობის

[5] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი,  მერიდიანი, თბილისი, 2015, გვ.632

[6] ავტორთა კოლექტივი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, რჩეული მუხლები, GIZ, თბილისი, 2020, გვ.812

[7] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი,  მერიდიანი, თბილისი, 2015, გვ.633

საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება აღარ ექვემდებარებოდა შეცვლას. უსამართლობის ამ ნიუანსის აღმოფხვრას ხელი შეუწყო დაუსწრებელი წარმოების მარეგულირებელი ნორმების განვითარებამ ფრანგულ პროცესში, როდესაც დადგინდა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების შეცვლა შესაძლებელი იყო მოპასუხის გამოცხადებით საქმის განხილვაზე. გერმანულ და შემდეგ ავსტრიულ კანონმდებლობაში დაუსწრებელი წარმოება უფრო განვითარდა იმ მიმართულებითაც, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოყენება შესაძლებელი გახდა მოსარჩელის მიმართაც, ისე, რომ გამოცხადებული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. სასამართლოს ყურადღების მიღმა რჩებოდა გამოუცხადებელი მხარის დასკვნები და საქმე წყდებოდა მხოლოდ გამოცხადებული მხარის წარდგენილი მტკიცებულებებისა და დასკვნების საფუძველზე. თუმცა, აქვე შესაძლებელი იყო ასეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილების შეცვლა, თუ გამოუცხადებელი მხარე განცხადებით მიმართავდა სასამართლოს, რომ იგი გამოცხადდებოდა პროცესზე შეჯიბრისათვის. [8]

რაც შეეხება საქართველოს, აქ დაუსწრებელი გადაწყვეტილების საპროცესო ინსტიტუტის ჩამოყალიბება ეხება საბჭოთა საქართველოში საქმეთა განხილვის დროში გაწელილ პრაქტიკას.[9]

იმ ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, რომლებიც შეიცავს დაუსწრებელი წარმოების მარეგულირებელ ნორმებს, დაუსწრებელი წარმოების არსი მდგომარეობს სასამართლოს მიერ გამოძახებული, არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებელი მხარისადმი გარკვეული სანქციის გამოყენებაში. ეს სანქცია კი გამოიხატება სასამართლო განხილვის გარეშე ისეთი გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც არ ესადაგება და ეწინააღმდეგება გამოუცხადებელი მხარის ინტერესებს. ამ წესიდან შეიძლება გამონაკლისს წარმოადგენდეს გარემოებები, როდესაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას მხარის გამოუცხადებლობის ფაქტის გარდა საჭიროა სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება, როგორც, მაგალითად, ეს დღეს საქართველოშია დადგენილი, ანდა, ის შემთხვევა, როდესაც დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოდის გამოცხადებული მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შემოწმების შემდეგ, ასევე, როდესაც დაუსწრებელი

[8] ი. მერებაშვილი. დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში, მართლმსაჯულება N3, 2007, გვ.143

[9] ლ. თვარაძე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მნიშვნელობა და მისი მიღების წინაპირობები სამოქალაქო პროცესში, სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის პირველი სამეცნიერო კრებული, სუხიშვილის საწავლო უნივერსიტეტი, გორი, 2011, გვ. 97

გადაწყვეტილება შეიძლება, გამოვიდეს არა მხოლოდ გამოცხადებული მხარის მიერ წარდგენილი, არამედ საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების შეფასების შედეგად.[10]

დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთი საყურადღებო და ამასთან, სადავო ინსტიტუტია. იმ საკითხების გადაწყვეტას, თუ როდისაა შესაძლებელი ან დაუშვებელი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და რატომ უნდა გაუქმდეს უკვე გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება -ფრიად პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო სამართალწარმოებაში.[11]

მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელების მიზნით ორივე მხარის სამოქალაქო პროცესში მონაწილეობას განსაკუთრებული სამართლებრივი დატვირთვა გააჩნია. ამიტომაც კანონმდებელი მხარეთა კანონით დადგენილი წესით სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების რამდენიმე შემთხვევას იცნობს. იმისთვის, რომ უკეთესად გავარკვით თუ რა შემთხვევაში მიიღება დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ცალ-ცალკე უნდა მიმოვიხილოთ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ყველა საფუძველი.

---

[10] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში, მართლმსაჯულება N3, 2007, გვ. 144

[11] ს. ჩხაიძე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში-ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, მართლმსაჯულება და კანონი N4, 2012, გვ. 37

# თავი 3. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პირობები და წესი

## 3.1 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა

### მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო

სამოქალაქო პროცესი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას ითვალისწინებს ორ შემთხვევაში: სასამართლოს სხდომაზე ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის და მოპასუხის მიერ სარჩელზე შესაგებლის წარუდგენლობისას.[12]

დაუსწრებელი გადაწყვეტილების წესებით სამოქალაქო საქმის განსახილველად აუცილებელია კანონით გათვალისწინებული პირობებისა და წესების დაცვა. პირველი უმნიშვნელოვანესი პირობა, ვიდრე დაინიშნება სასამართლო სხდომა, არის საქმის მომზადების სტადიაზე შესაგებლის წარმოსადგენად ვადის განსაზღვრა მოპასუხისათვის. სასამართლომ მოპასუხეს უნდა დაუნიშნოს ვადა იმისათვის, რომ მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართულ დოკუმენტების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს. დანიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე 21 დღეს. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი. სასამართლო აფრთხილებს მოპასუხეს პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შესაძლო შედეგების შესახებ. ყურადღება უნდა მიექცეს რომ შესაგებლის წარმოდგენის ვადა სარჩელის მიღების განჩინებით უნდა იყოს დადგენილი თვითონ მოსამართლის მიერ. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.[13]

აღნიშნულთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს მიერ დაუშვებლად იქნა ცნობილი კასატორის საჩივარი შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის თაობაზე, რადგან საკასაციო საჩივრის ავტორთა პრეტენზია ძირითადად იმ გარემოებას ემყარებოდა, რომ მათ მიერ შესაგებლის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით – კერძოდ, ავადმყოფობით და შესაგებლის წარუდგენლობის თანმდევი ნეგატიური შედეგების გაუცნობიერებლობით.

---

[12] ს. ჩხაიძე. დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში-ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, მართლმსაჯულება და კანონი N4, თბილისი, 2012, გვ. 37

[13] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2015, გვ. 634

საკასაციო პალატამ დადასტურებულად ვერ მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარში მითითებულ გარემოებას იმის შესახებ, რომ მოპასუხეთა მიერ შესაგებლის წარუდგენლობა განპირობებული იყო საპატიო მიზეზით – ავადმყოფობით. საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო ცნობებით, მართალია, დასტურდება, რომ მეორე მოპასუხეს აღენიშნება ქრონიკული ეპილეფსია, ხოლო პირველ მოპასუხეს – რამდენიმე დაავადება, მათ შორის: არტერიული ჰიპერტენზია და გულის ქრონიკული უკმარისობა (ავადმყოფობის მიმდინარეობა – ქრონიკული), თუმცა აღნიშნული ცნობებით არ დასტურდება მოპასუხეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის იმგვარი გაუარესება, რაც საპროცესო მოქმედების შესრულებას შეუძლებელს გახდიდა.

საკასაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ შესაგებლის წარუდგენლობის საპატიო მიზეზად ასევე არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მოპასუხეთა მიერ იმ გარემოების მითითება, რომ ისინი ვერ აცნობიერებდნენ შესაგებლის წარუდგენლობის თანმდევ სამართლებრივ შედეგებს. [14]

საკასაციო პალატა აღნიშნული განმარტებით კიდევ ერთხელ განამტკიცებს მოპასუხის ვალდებულებას სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში, სასამართლოს წარუდგინოს შესაგებელი სარჩელში დასმულ შეკითხვებსა და მტკიცებულებებთან დაკავშირებით.

შესაგებლის ინსტიტუტის შემოღების ძირითადი მიზანი საპროცესო სამართალში მდგომარეობდა „საპროცესო ეკონომიკის პრინციპით, რაც გულისხმობს საქმის დროულად, გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტას“.[15]

ისევე როგორც მხარეთა გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილება ასევე შესაგებლის წარმოუდგენლობის გამოც დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი იურიდიული ბუნებით წარმოადგენს სანქციას იმ მხარის მიმართ ვინც სხდომაზე არ ცხადდდება.[16]

განსხვავებით მხარეთა გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საკითხისა შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას არ სჭირდება მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის არსებობა. სასამართლო შესაგებლის

---

[14] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 13 მაისის განჩინება საქმეზე # ას-1569-2018, prg.supremecourt.ge

[15] ფ. ბასილაია, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობის შედეგები, მართლმსაჯულება და კანონი 4(24)[10] , თბილისი, 2010, გვ. 112

[16] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე #ას-121-117-2016, prg.supremecourt.ge

წარმოუდგენლობის შემთხვევაში თავისი ინიციატივით მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას ან ნიშნავს სხდომას.[17]

თუმცა ამ სანქციას აქვს თავისი მეორე მხარე, რომელიც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მოპასუხეს, კერძოდ, ის რომ ყოველთვის სასამართლოს მიერ არ ხდება მოპასუხისთვის შესაგებლის ვადის წარდგენა, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კანონით მოსარჩელეს თავად ევალება სარჩელის მოპასუხისათვის ჩაბარების უზრუნველყოფა, ამგვარ ვადას განსაზღვრავს სასამართლოს კანცელარია. ასეთ შემთხვევაში, სარჩელის ერთი ეგზემპლარი რეგისტრირდება კანცელარიის მიერ, ხოლო სარჩელის მოპასუხისათვის განკუთვნილი ეგზემპლარი თავსდება კონვერტში და გადაეცემა მოსარჩელეს. ამავე კონვერტში კანცელარია ათავსებს შესაბამისი მოხელის მიერ ხელმოწერილ გზავნილს, რომელშიც მოპასუხეს განესაზღვრება შესაგებლის წარდგენის ვადა. აღსანიშნავია, რომ ეს ვადა ყოველთვის ერთნაირად _ 10 დღით განისაზღვრება კანცელარიის მიერ. მოსარჩელეს კანცელარია უცხადებს, რომ სასამართლო აცნობებს სარჩელის მიღების შესახებ, რის შემდეგაც მოსარჩელე ვალდებულია, თავად ჩააბაროს სარჩელი მოპასუხეს. სამწუხაროა ის რომ, ამ წესით (კანცელარიის მიერ) განსაზღვრული შესაგებლის წარდგენის ვადის მოპასუხის მიერ დარღვევისას მასობრივად გამოაქვთ სასამართლოებს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.[18]

სამოქალაქო საპროცესო მეცნიერებაში აღიარებულია, რომ სასამართლო საპროცესო ურთიერთობის სავალდებულო სუბიექტია, ე.ი. მის გარეშე საპროცესო ურთიერთობა არ წარმოიშობა. კანცელარიის მიერ შესაგებლის წარდგენის ვადის განსაზღვრა საპროცესო ურთიერთობების მიღმა ტოვებს სასამართლოს. შესაგებლის შეტანის ვადის განსაზღვრაც, როგორც ფაქტი, ხდება საპროცესო ურთიერთობების მიღმა. საპროცესო ურთიერთობების მიღმა მომხდარი ფაქტი კი არ არის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი და შესაბამისად, ამგვარ ფაქტს ვერ დაუკავშირდება მოპასუხისათვის უარყოფითი სამართლებრივი შედეგი _ მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. თუმცა აღსაღნიშნავია ის ფაქტი, თუ მოპასუხე შესაგებელს არ წარადგენს დადგენილ ვადაში, მას შესაგებლის წარდგენის უფლება უქარწყლდება. ეს დაკავშირებულია მნიშვნელოვან საპროცესო შედეგთან - სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2321 მუხლისა და 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დადგენილ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში, სარჩელში მითითებული გარემოებები ითვლება დადასტურებულად. ამასთან, თუ ეს გარემოებები იურიდიულად ამართლებს

[17] მ. ირემაშვილი, შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შედარებითი ანალიზი საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით, სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა, www.library.court.ge/upload/mariam%20iremashvili.pdf, გვ.5

[18] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული პრობლემები, სამართალი და მსოფლიო N2, თბილისი, 2015, გვ. 55

სასარჩელო მოთხოვნას, სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ხოლო თუ სასამართლო ჩათვლის, რომ სარჩელს არა აქვს სამართლებრივი საფუძველი, იგი ნიშნავს სხდომას, მაგრამ სხდომაზეც მოპასუხეს არა აქვს სარჩელში მითითებული ფაქტების შედავების უფლება.[19]

სააპელაციო პალატამ დამატებით მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებებზე საქმეზე №ას-651-619-2013, 24 მარტი, 2014 წელი; საქმე №ას-307-292-2013, 25 დეკემბერი, 2013 წელი და განმარტა, რომ შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში, სარჩელში მითითებული გარემოებები დადასტურებულად ითვლება და მოპასუხისაგან (მოწინააღმდეგე მხარისაგან) მტკიცებულებების მიღება არ ხდება, სამართლებრივი ბალანსი იმგვარია, რომ მოპასუხეს უფლება მხოლოდ სამართლებრივი შესაგებლის წარდგენაზე გააჩნია, ანუ თავდაცვის საპროცესო საშუალება მხოლოდ სარჩელის მოთხოვნასთან მიმართებით მოპასუხის სამართლებრივი მოსაზრებით შემოიფარგლება.[20]

სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს თუ არა სასარჩელო მოთხოვნას, ნიშნავს იმას, რომ სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები გამოიწვევს თუ არა იმ შედეგს, რომლის დადგომასაც მოითხოვს მოსარჩელე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე. მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები მტკიცებულებები“ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს“. ეს მუხლები არეგულირებენ მხარეების უფლებებსა და მოვალეობებს ჩვეულებრივი სასარჩელო წარმოების დროს, როდესაც მოსარჩელეს მიაჩნია და არსებობს ამისი ვარაუდი, რომ მოპა-სუხემ დაურღვია მას უფლება, მაგრამ პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ამ „ ვარაუდს“ არანაირი საფუძველი არა აქვს, ე. ი. სარჩელი აშკარად უსაფუძვლოა. ამ შემთხვევაში მოპა-სუხე, რომელსაც არანაირი უფლება არ დაურღვევია მოსარჩელისათვის, მოსარჩელის უკანო-ნო მოქმედების მსხვერპლი ხდება. ვფიქრობთ, რომ ასეთი დავების შემთხვევაში უნდა არსებობდეს კანონში რაიმე დამცავი მუხლი, რომელიც დაიცავს ასეთ მოპასუხეს. ამგვარი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, მიგვაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

[19] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული პრობლემები, სამართალი და მსოფლიო N2, თბილისი, 2015, გვ. 55.
[20] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის განჩინება საქმეზე # ას-341-319-2017, prg.supremecourt.ge

186-ე მუხლის პირველ ნაწილს, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებს უნდა დაემატოს ახალი პუნქტი: „სარჩელი აშკარად უსაფუძვლოა“.[21]

ჩვენი აზრით, შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში უნდა დაინიშნოს ჩვეულებრივ საქმის განხილვა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, მოპასუხეს არ ექნება უფლება წარადგინოს თავისი მოსაზრება სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებებზე და სწორედ ეს იქნება საფუძველი მის წინააღმდეგ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებისა, რაც გასაჩივრდება ჩვეულებრივი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით და ამით თავიდან იქნება აცილებული შესაგებლის წარუდგენლობის გამო გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დაკარგული დრო.[22]

### 3.1.2 შედარებითი ანალიზი გერმანიის საპროცესო კანონმდებლობასთან

გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით გათვალისწინებულია მოპასუხის სარჩელისა და, შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისაგან თავდაცვის თავისებური წესები, რომელთა მოპასუხის მხრიდან გაუთვალისწინებლობა და შემდეგ ზეპირ განხილვაზე გამოუცხადებლობა, უფრო აადვილებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. აღნიშნული კოდექსის 276-ე პარაგრაფი მიუთითებს, რომ თუ სასამართლომ არ დანიშნა საქმის მოსამზადებელი მოსმენა, სარჩელის ჩაბარებისას მოპასუხეს წინადადება ეძლევა (თუ ის აპირებს სარჩელისგან თავდაცვას) წერილობით შეატყობინოს ამის შესახებ სასამართლოს ორი კვირის ვადაში სარჩელის გადაცემიდან. მოპასუხეს ასევე ენიშნება დამატებით ორი კვირის ვადა, რათა სასამართლოში წარადგინოს შესაგებელი სარჩელზე, რომელიც შემდეგ გაეგზავნება მოსარჩელეს გასაცნობად და საპასუხოდ. თუ მოპასუხემ გაუშვა დადგენილი ვადა და სასამართლოს დროულად არ შეატყობინა თავისი განზრახვის შესახებ _ სურს თუ არა თავდაცვა სარჩელისაგან, მაშინ სასამართლო, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, ადგენს საქმის განხილვას ზეპირი მოსმენის გარეშე და, რა თქმა უნდა, მოსარჩელეს უფრო უადვილდება გამოუცხადებელი

[21] ლ. არხოშაშვილი, პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხები, რომლებიც ეხება სარჩელისგან მოპასუხის პროცესუალურ თავდაცვის საშუალებებს. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, 2013, გვ. 5

[22] ლ. არხოშაშვილი, პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხები, რომლებიც ეხება სარჩელისგან მოპასუხის პროცესუალურ თავდაცვის საშუალებებს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, 2013, გვ.3

მოპასუხის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.[23]

მიუხედავად მოპასუხის წერილობითი პასუხის არქონისა, საქართველოში საქმის განხილვა წარმოებდა ზეპირი მოსმენით და არც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის უფრო მარტივი სქემა გვქონდა სახეზე, როგორც ეს გერმანულ საპროცესო კანონმდებლობაშია. ცვლილებების განხორციელების შემდეგ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლში მე-7 ნაწილის[24] სახით გაჩნდა ჩანაწერი _ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ამ კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით. აღნიშნული ნორმა, გერმანული კანონმდებლობის მსგავსად, მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს მოპასუხეს და ხელს უშლის პროცესის გაჭიანურებას.[25]

## 3.2 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მოსარჩელე მხარის გამოუცხადებლობის გამო

სსსკ-ის 229-ე მუხლი იცნობს, მოსარჩელე მხარის მიერ სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივ საფუძვლებს.

მუხლი 229. მოსარჩელის გამოუცხადებლობა[26]

1. თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მხარე, თუ იგი ობიექტური მიზეზის გამო ვერ შეძლებს სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას, ამის თაობაზე დროულად უნდა აცნობოს სასამართლოს. არა მარტო

---

[23] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანციის სასამართლოებში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობების მიხედვით, თემიდა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი N 10(12)-2016. თბილისი, 2016, გვ.21

[24] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 201, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

[25] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანციის სასამართლოებში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობების მიხედვით, თემიდა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი N 10(12)-2016, თბილისი, 2016, გვ.22-23

[26] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 229-ე, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

სასამართლოა ვალდებული მხარე გააფრთხილოს სხდომის თაობაზე, არამედ მხარეებიც და მათი წარმომადგენლებიც, სსსკ-ის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით ვალდებულნი არიან აცნობონ სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები. მხარემ გონივრულ ვადაში უნდა აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის თაობაზე, რათა აღნიშნული გარემოება მოწინააღმდეგე მხარესაც დროულად ეცნობოს.[27]

თუ სასამართლოს სხდომაზე  გამოცხადდა მოპასუხე, მაგრამ არ გამოცხადდა მოსარჩელე, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო, მაგრამ მხოლოდ ორი პირობის ერთდროულად არსებობისას: პირველი-მოპასუხე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე,  რათა მან გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; მეორე-არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემობები, რომლებიც გათვალისწინებულია 233-ე მუხლის პირველი ნაწილით.[28]

მუხლი 229. მოსარჩელის გამოუცხადებლობა

2. თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276–278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. თუ მოპასუხე სარჩელის განუხილველად დატოვების წინააღმდეგია, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას. მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.[29]

პროცესზე გამოუცხადებელი მოსარჩელის წინააღმდეგ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების საფუძველი არ შეიძლება გახდეს საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევა და შეფასება _ არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი თვალთახედვით. სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება ხდება მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზეზით _ ესაა პროცესზე კანონმდებლობით დადგენილი წესით მოწვეული მოსარჩელის გამოუცხადებლობა.[30]

---

[27] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, სუსგ, კრებული N 11, 2003, გვ. 2868-2869

[28] თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, სამართალი, თბილისი, 2007, გვ. 413

[29] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 229-ე, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

[30] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის  თავისებურებები I და II ინსტანციის სასამართლოებში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობების მიხედვით, თემიდა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი N 10(12)-2016, თბილისი, 2016, გვ.17

მხარის პროცესზე კანონმდებლობით დადგენილი წესით მოწვევასთან დაკავშირებით, დეტალური განმარტება გააკეთა უზენაესმა სასამართლომ და აღნიშნა, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს. ამ კოდექსის 73.8 მუხლის თანახმად, ფოსტის ან კურიერის მეშვეობით ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში - ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამდენად, სასამართლო უფლებამოსილი იყო, იურიდიული პირისათვის/ორგანიზაციისათვის, სასამართლო უწყება გაეგზავნა  სარჩელში მითითებულ მისამართზე.საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ იურიდიული პირის მენეჯერისთვის უწყების ჩაბარება კომპანიისთვის უწყების ჩაბარებას არ ნიშნავს და აღნიშნა, რომ საწარმოს მენეჯერი, ზოგადი განმარტების თანახმად, საწარმოს მმართველს ნიშნავს, რომელიც პასუხს აგებს შრომის ორგანიზაციასა და კონტროლზე საწარმოში, რაც გულისხმობს, დამატებითი უფლებამოსილების (მინდობილობის) მინიჭების გარეშე, ორგანიზაციის სახელზე შესული კორესპონდენციის როგორც ჩაბარების, ისე შესაბამისი პირისა თუ სამსახურისათვის გადაცემის ვალდებულებასაც. აქედან გამომდინარე, სრულიად ნათელია, რომ მენეჯერისათვის უწყების ჩაბარება ნიშნავს საწარმოსათვის უწყების ჩაბარებას.[31]

## 3.3 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ცალკე ეხება მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევას.

თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა მოსარჩელე, მაგრამ არ გამოცხადდა მოპასუხე, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ სამი პირობის ერთდროულად არსებობისას: პირველი-მოსარჩელე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა მან გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო; მეორე - არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რომლებიც გათვალისწინებულია 233-ე მუხლის პირველი ნაწილით და მესამე-სარჩელში

[31] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 29 ივნისის განჩინება საქმეზე # ას-1554-1474-2017, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

მითითებული და მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას. [32]

230-ე მუხლის[33] ახალი რედაქციის მიხედვით, სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოსარჩელის შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ (რაც ძველი რედაქციის მიხედვით, შესაძლოა, არც კი იგულისხმებოდა), ამასთან ასევე აუცილებელია, რომ სარჩელში მითითებული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მოპასუხის გამოუცხადებლობისა და მოსარჩელის შუამდგომლობის შედეგად დამტკიცებულად ითვლება, იურიდიულად ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო არ დააკმაყოფილებს მოსარჩელის სარჩელს. რასაკვირველია გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გამოუცხადებელი მოპასუხისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო კანონმდებლობით დადგენილი წესი სასამართლო სხდომის შესახებ და ასევე ის, რომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის სხვა ზემოაღნიშნული დამაბრკოლებელი გარემოებები.[34]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მითითებული მუხლის ძველი რედაქცია რატომღაც გამორიცხავდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის ორ პირობას _ გამოცხადებული მოსარჩელის შუამდგომლობას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს დამტკიცებულად და სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძვლად თვლიდა მაშინ, როდესაც სარჩელის ეს გარემოებები შესაძლოა სრულიად არაადეკვატური ყოფილიყო სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, რომ კოდექსის ამ ნორმამ უფრო დახვეწილი და რეალურობასთან შესაბამისი შინაარსი შეიძინა, რითაც პრაქტიკულად გამოირიცხა არალოგიკური, დაუსაბუთებელი სარჩელების დაკმაყოფილება დაუსწრებელი გადაწყვეტილების მეშვეობით. აქ სხვა აზრი ალბათ არც არსებობს, რადგან აუცილებელია დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდეს მოსარჩელის მოთხოვნას. თუ ეს ასე არ არის და სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს მოსარჩელის მოთხოვნას, ასეთ

---

[32] თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, სამართალი, თბილისი, 2007, გვ.416

[33] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 230-ე, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48, 1997. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

[34] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანციის სასამართლოებში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობების მიხედვით, თემიდა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი N 10(12)-2016, თბილისი, 2016, გვ.19

შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარის მიხედვით, სასამართლომ უნდა გამოიტანოს არა დაუსწრებელი, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება, რომლითაც უარი უნდა ეთქვას სხდომაზე გამოცხადებულ მოსარჩელეს სარჩელზე.[35]

მოსარჩელის გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით, გაცილებით დეტალურად იხილავს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მოპასუხის გამოუცხადებლობას და მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებებს. აღნიშნული კოდექსის 331-ე პარაგრაფის მიხედვით, თუ გამოცხადებული მოსარჩელე სასამართლოს წინაშე შუამდგომლობს საქმის ზეპირ განხილვაზე გამოუცხადებელი მოპასუხის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებაზე, მაშინ მოსარჩელის ზეპირი მტკიცებები საქმის გარემოებებთან მიმართებაში მიღებულად ითვლება. იქვე მითითებულია, რომ სასამართლო ამ სარჩელს იმ შემთხვევაში დააკმაყოფილებს, თუ ეს მტკიცებები სასარჩელო მოთხოვნებს ამაგრებს, მაგრამ თუ მოტანილი მტკიცებები სარჩელის საფუძვლად არ გამოდგება, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.[36]

### 3.4 ორივე მხარის გამოუცხადებლობის შედეგები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის[37] მიხედვით, თუ სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდება არცერთი მხარე, ამასთანავე მათ მიეწოდათ ინფორმაცია სსსკ-ის 70-78-ე მუხლების მიხედვით, მაშინ მოსამართლე გამოიტანს სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებას. მოსამართლე სხდომას გადადებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარეს, ან მათ წარმომადგენლებს, სათანადო წესით მიხედვით არ მიეწოდათ ინფორმაცია. სხვა შემთხვევაში სარჩელი დარჩება განუხილველი და მოსარჩელემ შეიძლება ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს ამ საქმესთან დაკავშირებით.[38]

ამრიგად, ორივე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლომ საქმის განხილვა კი არ უნდა გადადოს, არამედ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს. მაგრამ ამისთვის მან წინასწარ უნდა შეამოწმოს, არის თუ არა საქმეში ცნობა, რომელიც ადასტურებს,

---

[35] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანციის სასამართლოებში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობების მიხედვით, თემიდა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი N 10(12)-2016, თბილისი, 2016, გვ.19

[36] Гражданское процессуальное уложение Германии 1877, Перевод с немецкого. Москва- Берлин, 2016, & 331

[37] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 231, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

[38] თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა,ჯისიაი, თბილისი, 2005, გვ. 402

რომ მხარეებს და მათ წარმომადგენლებს ნამდვილად ჩაბარდათ უწყება სსკ 70-78-ე მუხლებით[39] დადგენილი წესით. წინააღდეგ შემთხვევაში უნდა გადადოს საქმის განხილვა.

რაც შეეხება ორივე მხარის გამოუცხადებლობის შედეგებს, სასამართლომ განმარტა თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომ გამოუცხადებლობის საპატიო გარემოება დადასტურებული და ახსნილი უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებებით. კერძოდ, საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, კანონმდებელი ავადმყოფობის ცნობის წარდგენას მხოლოდ მაშინ მიიჩნევს საქმის განხილვის გადადების საფუძვლად, როდესაც ავადმყოფობა დადასტურებულია სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. გამომდინარე აქედან, ავადმყოფობა, ყოველთვის ვერ ჩაითვლება საპატიო მიზეზად, თუ კონკრეტულად არ იქნება მითითებული, რომ აღნისნული ავადმყოფობა პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობის საფუძველია.[40]

საყურადღებოა ის გარემოება, რომ სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, მოსარჩელეს კვლავ შეუძლია აღძრას იგივე სარჩელი საერთო წესის დაცვით (278-ე მუხლი). ხოლო განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით. (276-ე მუხლი).[41]

ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე განიხილება პირველ ინსტანციაში და ამ საქმესთან დაკავშირებით არ არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება. რაც შეეხება მეორე ინსტანციაში საქმის განხილვის დროს, თუ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი ორივე მხარის გამოუცხადებლობის გამო, მხარეს აქვს უფლება გაასაჩივროს მხოლოდ სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ სასამართლოს განჩინება. იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო სასამართლოს მიერ არ იქნა აღნიშნული განჩინება გაუქმებული, ძალაში რჩება ამ საქმეზე არსებული პირველი ინსტანცის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც საკასაციო სასამართლოს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის განჩინებით შედის კანონიერ ძალაში. ეს შემდგომში მხარეს უკარგავს საშუალებას მიმართოს სასამართლოს იმავე დავის საგანთან

[39] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 70-78-ე, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

[40] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 დეკემბრის განჩინება საქმეზე # ას-953-896-2010, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

[41] თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, სამართალი, თბილისი, 2007, გვ.419

მიმართებაში კიდევ ერთხელ ვინაიდან, აღნიშნულ დავის საგანთან მიმართებაში საქმეზე უკვე კანონიერ ძალაში შესული პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება იარსებებს.[42]

კანონის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მხარის დაუსწრებლად საქმის განხილვა შესაძლებელია, თუ უცნობია გამოუცხადებლობის მიზეზები (არ მოიპოვება საქმეში შესაბამისი ინფორმაცია), ან თუ სასამართლო გამოუცხადებლობის მიზეზს არასაპატიოდ მიიჩნევს ან თუ მხარე (როგორც წესი, მოპასუხე) შეგნებულად (განზრახ) აჭიანურებს საქმისწარმოებას. თუმცა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ როცა საქმეში არ მოიპოვება ინფორმაცია უწყების ჩაბარების შესახებ ან უწყებაში არ იყო მითითებული გამოუცხადებლობის შედეგები, კერძოდ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, ასეთი პროცედურის გამოყენება დაუშვებელია. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მხარე სხვადასხვა გარემოების გამო შეიძლება არ ესწრებოდეს სხდომას. მაგალითად, გამოუცხადებლობა გამოწვეულია ისეთი მიზეზებით, რომელთა შესახებაც სასამართლოს ეცნობა და მან საპატიოდ მიიჩნია ისინი; ან კიდევ, მხარე პროცესზე არ მოვიდა, მაგრამ პროცესს ესწრება მისი წარმომადგენელი. ასეთ შემთხვევებში დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.[43]

### 3.5 სხდომაზე გამოცხადებული მხარის პროტესტი, როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის [44] მიხედვით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთი წინაპირობაა, როდესაც სასამართლო სდომაზე გამოცხადებული მხარე უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. პრაქტიკაში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევას, როდესაც მხარე გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, მაგრამ არა იმ განზრახვით, რომ მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. ასეთი განზრაახვა იქედან ჩანს, რომ სხდომაზე გამოცხადებული მხარე უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. ასეთი მხარე ითვლება გამოუცხადებელ მხარედ (სსკ 232-ე მუხლი) და მის მიმართ შეიძლება გამოტანილი იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.[45]

---

[42] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, თავი XXVI, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

[43] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2015, გვ. 635

[44] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 232, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

[45] თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, ჯისიაი, თბილისი, 2005, გვ.396

პრაქტიკაში ზოგჯერ ორ განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე: პირველი, როდესაც მხარე გამოცხადდა, მაგრამ არა იმ განზრახვით რომ მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება; და მეორე, როდესაც მხარე გამოცხადდა იმ განზრახვით, რომ მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, დაიწყო კიდეც მონაწილეობა, მაგრამ პროცესის ამა თუ იმ ეტაპზე, დატოვა სხდომა ან იმის გამო, რომ სასამართლომ მისი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, ან შეიძლება იმის გამო რომ პროცესის მსხვლელობის მიხედვით მისი პოზიცია არც ისე საიმედო აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ მხარის წინააღმდეგ, რომელმაც მიატოვა სხდომა.[46]

სსსკ-ის 212-ე მუხლი [47] საქმის განმხილველ მოსამართლეს ავალდებულებას სასამართლო განხილვის დაწყების წინ გააფრთხილოს მხარეების, თვითნებურად სასამართლო სხდომის დარბაზის მიტოვების შედეგებზე.

როგორც გერმანული კანონმდებლობა, ისე ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ეხება პროცესზე გამოცხადებული მხარის მიერ საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარის განცხადებას. გერმანული კოდექსის მსგავსად, ქართული კოდექსის მიხედვით, პროცესზე გამოუცხადებლად ჩაითვლება მხარე, რომელიც მართალია გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე სასამართლოს მიერ მითითებულ დროს, მაგრამ უარი განაცხადა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე. მართალია, კოდექსი ამ დებულებების შინაარსობრივ დეტალიზებას არ აკეთებს, თუმცა ლოგიკურია, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე უარი მხარემ შესაძლოა განაცხადოს საქმის განხილვის დაწყებისთანავე ან არ არის გამორიცხული, რომ მონაწილეობაზე უარი გაცხადებულ იქნეს პროცესის სხვა ეტაპზე. პროცესში მონაწილეობაზე უარის ტოლფასად შეიძლება ჩაითვალოს ასევე (მიუხედავად გარკვეულ ეტაპამდე მხარის პროცესში მონაწილეობისა) მის მიერ სასამართლო სხდომის თვითნებური ანდა ცერემონიულად დატოვება. უდავოა, რომ ყველა ასეთ შემთხვევაში სახეზე იქნება მხარის გამოუცხადებლობა, რაც რასაკვირველია, მეორე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, შესაძლოა გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი. გერმანული კოდექსის 334-ე პარაგრაფი იხილავს მხარის პროცესში ნაწილობრივი მონაწილეობის შემთხვევასაც, რომელიც გულისხმობს მხარის ისეთ ჩართვას საქმის განხილვაში, როდესაც იგი, მიუხედავად სხდომაზე დასწრებისა და განხილვაში მონაწილეობისა, არ იძლევა განმარტებებს ფაქტებთან,

---

[46] თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენატარები, სამართალი, თბილისი, 2007, გვ.419

[47] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 212, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

დოკუმენტებთან ანდა მხარეთა დაკითხვის შესახებ შუამდგომლობებთან დაკავშირებით. მიუხედავად ასეთი სიტუაციისა, გერმანული კოდექსი გამორიცხავს ასეთ შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. ასეთი გარემოება აშკარად დარჩენილია ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რეგულირების მიღმა ანუ არცთუ ადვილად მისახვედრია და განსასაზღვრი, როგორ მოიქცევა ქართული მართლმსაჯულების ორგანო თუ საქმის განხილვის დროს ზემომოტანილ სიტუაციას ექნება ადგილი; ჩათვლის იგი მხარის მსგავს ნაწილობრივ მონაწილეობას პროცესში საქმის განხილვაში მონაწილეობად და უარს იტყვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, თუ უარის თქმად, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში და მეორე მხარის შუამდგომლობით მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.[48]

პრაქტიკაში უფრო ხშირად, ადგილი აქვს ისეთ შემტხვევებს, როდესაც გამოცხადებული მხარე უარს არ ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე, ხოლო როდესაც სასამართლო უარს ეუბნება ასეთი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, იგი, პროტესტის ნიშნად ტოვებს სხდომას. ასეთ შემტხვევაში სასამართლოს უნდა შეეძლოს გამოიტანოს მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება რთი აუცილებელი პირობის დაცვით:ყოველი საქმის განხილვის დაწყების წინ (სსკ 217-ე მუხლი) სასამართლომ უნდა გააფრთხილოს მხარეები, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობის მიუღებლობა ან სხდომის მიტოვება სასამართლოს ნებართვის გარეშე, მიჩნეული იქნება როგორც გამოუცხადებლობა და მათ მიმართ გამოტანილი ინება დაუსწრებელი გადაწყვეტილება.[49]

საქმეზე #ას-162-431-08, საკასაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია სააპელაციოს დასკვნა რომ საქალაქო სასამართლომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და განჩინების გამოტანისას სავსებით სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 232-ე მუხლით, რომელთა თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, გამოუცხადებლად ითვლება მხარე, რომელიც, თუმცა სასამართლო სხდომაზე დანიშნულ დროს გამოცხადდა, მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ

---

[48] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანციის სასამართლოებში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობების მიხედვით, თემიდა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი N 10(12)-2016, თბილისი, 2016, გვ. 20

[49] თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, ჯისიაი, თბილისი, 2005, გვ.397

სასამართლო განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ მოსარჩელე კანონით დადგენილი წესით მიწვეულ იქნა საქმის განხილვაზე და სასამართლოში არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა ან უარი განაცხადა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე. ამდენად, სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მხარის საქმის განხილვაში მონაწილეობის მიუღებლობას კანონმდებელი უთანაბრებს არასაპატიოდ მის გამოუცხადებლობას და იმავე სამართლებრივ შედეგს ავრცელებს მასზე. აღნიშნა, რომ მოსარჩელის და მისი წარმომადგენლის მიერ სასამართლოს ნებართვის გარეშე სხდომის დარბაზის დატოვება უნდა შეფასდეს საქმის განხილვისადმი მოსარჩელის მიერ იურიდიული ინტერესის დაკარგვად, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველია, მიუხედავად მოსარჩელის მითითებისა, რომ იგი სარჩელზე უარს არ ამბობს. (გადაწყვეტილება). საკასაციო საჩივარში მითიტებული გარემოება, რომ სხდომის დარბაზის დატოვება მოსარჩელის მიერ წარმო0ადგენდა პროტესტს, სასამართლოს მიერ უკანონოდ შუამდგომლობის დაკმაყოფილების თაობაზე, საკასაციო სასამართლომ საპატიოდ არ მიიჩნია და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში მხარეს აღნიშნული განჩინება შეეძლო გაესაჩივრებინა ძირითად გადაწყვეტილებასთან ერთად, შესაბამისად მარეს ჰქონდა შესაძლებლობა სხვა საპროცესო მოქმედებით დაეკმაყოფილებინა უსამართლობის შეგრძნება და არა სხდომის მიტოვებით. შესაბამისად, სხდომის მიტოვება ვერ ჩაითვლება საპატიო მიზეზად, რომლითაც გამოუცხადებლობა იყო გამოწვეული.[50]

გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსიც იცნობს პროცესზე გამოცხადებული მხარის მიერ საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარის განცხადებას. გერმანული კოდექსის 334-ე პარაგრაფი იხილავს მხარის პროცესში ნაწილობრივ მონაწილეობის შემთხვევასაც, რომელიც გულისხმობს მხარის ისეთ ჩართვას საქმის განხილვაში, როდესაც, იგი მიუხედავად სხდომაზე დასწრებისა და განხილვაში მონაწილეობისა, არ იძლევა განმარტებებს ფაქტებთან, დოკუმენტებთან ანდა მხარეთა დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობებთან დაკავშირებით. მიუხედავად ასეთი სიტუაციისა, გერმანული კოდექსი გამორიცხავს ასეთ შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. ასეთი გარემოება აშკარად დარჩენილია ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რეგულირების მიღმა, ანუ არცთუ ადვილად მისახვედრი და განსასაზღვრია, როგორ მოიქცევა ქართული მართლმსაჯულების ორგანო, თუ საქმის განხილვის დროს ზემოთ მოყვანილი სიტუაცია შეიქმნება _ ჩათვლის იგი მხარის მსგავს, ნაწილობრივ მონაწილეობას პროცესში საქმის განხილვაში მონაწილეობად და უარს იტყვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, თუ უარის თქმად _ მონაწილეობა

[50] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 14 აპრილის განჩინება #ას-162-431-08, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

მიიღოს საქმის განხილვაში და მეორე მხარის შუამდგომლობით მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.[51]

### 3.6 მეორე და განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება

სსსკ-ის 242-ე მუხლი[52] უსვებს განმეორებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას იმ მხარის მიმართ, რომელმაც შემოიტანა საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის განახლების მოთხოვნით, მაგრამ კვლავ არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე. მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისთვის აუცილებელია, რომ გამოტანილი იყოს იმავე პირის მიმართ, რომლის მიმართაც უკვე არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამრიგად, აუცილებელია არსებობდეს რამდენიმე წინაპირობა:

1. იმავე პირის მიმართ, რომელმაც შემოიტანა საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე უკვე არსებობს ერთი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც თუმცა მორედ გამოაქვს სასამართლოს მაგრამ არა იმ პირის მიმართ, ვიზეც ადრე იყო გამოტანილი პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება - არ იქნება მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს ეს პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმებულია თუ არა.

2. მიმდინარეობს სასამართლოს სხდომა არა საჩივრის დასაშვებობის შემოწმების მიზნით, არამედ ამ საჩივრის საფუძვლიანობის სემოწმების მიზნით, ან სხდომა, რომელზეც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ განიხილება საქმე არსებითად.

3. არსებობს ზოგადად დაუსწრებელი გადაწყვეტილების ყველა წინაპირობა, ანუ არ არსებობს მისი გამოტანისთვის კანონით გათვალისწინებული ხელისშემშლელი გარემოებები (სსკ 233-ე მუხლი).[53]

საკასაციო პალატა საქმეზე # ას-67-407-05 არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლოს უნდა გამოეტანა მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება და აღნიშნავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი

---

[51] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში, მართლმსაჯულება N3, თბილისი, 2007, გვ.149

[52] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 242, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

[53] თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, ჯისიაი, თბილისი, 2005, გვ.407-408

გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში კი, მიუხედავად მხარეების არაერთგზის გაფრთხილებისა, ისინი არ გამოცხადდნენ სასამართლო სხდომაზე. ორივე მხარის გამოუცხადებლობის გამო კი სასამართლომ საჩივარი განუხილველად მართებულად დატოვა.[54]

სასამართლო განიხილავს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობასაც, როდესაც არ არის სახეზე ზემოთაღნიშნული წინაპირობები.[55] საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონება და ამ უკანასკნელს გადაეცა გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში. განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მოპასუხემ, რომელმაც მოითხოვა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. სააპელაციო პალატის განჩინებით მოპასუხის სააპელა-ციო საჩივარი დარჩა განუხილველად აპელანტის გამოუცხადებლობის გამო. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია იმის შესახებ, რომ იგი საქმის განხილვაში არ ყოფილა მოწვეული კანონით დადგენილი წესით. საქმეში წარმოდგენილი სასამართლო უწყების ასლითა და ამ უწყების ჩაბარების ხელწერილით დასტურდება, რომ აპელანტს პირდად ჩაბარდა უწყება. ამავე უწყებით, აპელანტს განემარტა სასამართლოში გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებაზე, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები გაზიარებული არ იქნა პრეტენზია იმის თაობაზეც, რომ უწყებაზე შესრულებული ხელმოწერა საჩივრის ავტორს არ ეკუთვნოდა. სსსკ-ის 102.1 და 103.1 მუხლების მიხედვით, აპელანტი ვალდებული იყო წარმოედგინა მტკიცებულებები, რაც მის მიერ მითითებულ გარემოებას დაადასტურებდა, აპელანტმა კი საკუთარი ახსნა-განმარტების გარდა, სასამართლოს რაიმე მტკიცებულება ვერ წარმოუდგნია. სსსკ-ის 387.3 მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს, აპელანტის გამოუცხადებლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოაქვს იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე (სააპელაციო მოპასუხე), ან, თუ აპელანტი განმეორებით არ გამოცხადდება საქმის განხილვაზე. მოცემულ შემთხვევაში, არც ერთ ზემოხსენებულ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, სასამართლომ მართებულად არ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.[56]

---

[54] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 18 მარტის განჩინება #ას-67-407-05, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

[55] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 7 მარტის განჩინება # № ას-1540-1460-2017, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

[56] ავტორთა კრებული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, რჩეული მუხლები, GIZ, თბილისი, 2020, გვ.916-917

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის[57] პირველი ნაწილის მიხედვით, მხარის მიმართ თუ ერთხელ უკვე მიღებულია განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარეს აღარ აქვს უფლება ხელმეორედ შეიტანოს საჩივარი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. სსსკ -ის 242-ე მუხლის მე-2 ნაწილი[58] მიუთითებს, რომ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც არის გამოტანილი მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გაასაჩივროს იგი მხოლოდ ზემდგომ სასამართლოში.

მეორე დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი სააპელაციო საჩივარი შეიძლება ემყარებოდეს იმას, რომ არ არსებობდა განმეორებიტ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისთვის შესაბამისი სამართლებრივი წინამძღვრები (სსკ 366-ის მე-2 ნაწილი).[59] დამატებით საპროცესო კოდექსი განმეორებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების ხარჯების ანაზრაურების საკითხსაც განსაზღვრავს, რომლის მიხედვითაც აპელანტი მხარე ვალდებულია მიუხედავად იმისა, მოიგებს თუ არა საქმეს, გადაიხადოს სასამართლო ხარჯები.

[57] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 242, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

[58] იქვე.

[59] თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, ჯისიაი, თბილისი, 2005, გვ. 408

# თავი 4. დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი, მიღების დაუშვებლობის საფუძვლები და გასაჩივრების წესი

## 4.1 დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობის საფუძვლები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განიხილავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობას, კერძოდ სსსკ-ის 233-ე მუხლი 1-ნაწილით, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ:

ა) გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით;

ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის;

გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები;

დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები. [60]

1. მოწვეულად ითვლება მხარე, რომელსაც უწყება გაეგზავნა და ჩაბარდა სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. მხარეთა შეტყობინებას ამ წესების დაცვით ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა:სარჩელის განხილვა და გადაწყვეტა კანონით დადგენილი წესით მხარის შეუტყობინებლად, უნდა შეფასდეს როგორც საქმის განხილვა მხარის მონაწილეობის გარეშე, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლიტური საფუძველია (სსკ 394-ე მუხლი). დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონის დარღვევით მიღებულად ჩაითვლება და უნდა გაუქმდეს იმ შემთხვევაშიც, როცა სასამართლოს უწყებაში არაა მითითება გამოუცხადებლობის შედეგებზე, ანუ იმის შესახებ, რომ გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოტანილი იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება (სსკ 72-ე მუხლის „ზ“ პუნქტი).[61]

2.ადგილი არ აქვს რაიმე დაუძლეველ ძალას ან სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის (სსკ 233-ე მუხლის „ბ“ პუნქტი).

---

[60] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 233, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

[61] თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, ჯისიაი, თბილისი, 2005, გვ.395

მხარის გამოცხადებისთვის ამ ხელშემშლელი გარემოებების არსებობის შესახებ ცნობილი უნდა იყოს სასამართლოსთვის. მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელი წყაროებიდან მიიღო სასამართლომ ეს ცნობები უშუალო აღქმის გზით, (მაგალითად, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ.) თუ პრესისა, რადიოს, თუ ტელევიზიის მეშვეობით. მთავარია, რომ სასამართლოს ჰქონდეს ინფორმაცია ამ მოვლენების შესახებ. [62]

არ შეიძლება, ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ საპროცესო კოდექსი ამ შემთხვევაში თავად სასამართლოს უტოვებს უფლებას, გადაწყვიტოს, რომელი მოვლენა მიაკუთვნოს ასეთ შემთხვევებს და, ასევე, იყო თუ არა ესა თუ ის მოვლენა იმ დროს და იმ სიტუაციაში დამაბრკოლებელი გარემოება სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. ავიღოთ, მაგალითად შემთხვევა, როდესაც მხარის პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზად დასახელდა მისი წარმომადგენლის დასწრება სხვა პროცესზე, თუმცა ეს ფაქტი სასამართლოსთვის ცნობილი გახდა წარმომადგენლის განცხადების და არა სხვა ოფიციალური დოკუმენტის (მაგალითად სასამართლო უწყების) მეშვეობით. გამოცხადებულმა მხარემ არ მიიჩნია მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი განცხადება საკმარის მტკიცებულებად პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზისათვის და დააყენა შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა, თუმცა იგი ვალდებული იყო, მხარის პროცესზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის უფრო სანდო მტკიცებულებას დაყრდნობოდა. ამ მაგალითის მიხედვით პარადოქსული ისაა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მიზანი _ სასამართლოს ეფექტური მუშაობა, სასამართლო დავების სწრაფი გადაწყვეტა, მხარეთათვის მოტივაციის შექმნა, რომ გამოცხადდნენ სასამართლო პროცესზე და მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში, არ გააჭიანურონ იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე შესაძლოა, მათ საწინააღმდეგოდ დამთავრდეს _ ამ შემთხვევაში სრულიად უგულებელყოფილ იქნა. სასამართლოს არც კი უცდია, გაერკვია და დაედგინა გამოუცხადებელი მხარის მიერ წარდგენილი მიზეზი, მისი სანდოობა და საპატიოობა, რითაც შედეგად მივიღეთ გაჭიანურებული სასამართლო პროცესი, მაშინ, როდესაც გამოუცხადებელი მხარე სწორედ შესაძლოა დასჯილიყო იმისათვის, რომ არ იზრუნა, სასამართლოში წარედგინა უტყუარი მტკიცებულება.[63]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მხარეებისათვის საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ცნობების დროულად მიწოდებას.

---

[62] თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, ჯისიაი, თბილისი, 2005, გვ.395

[63] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში, მართლმსაჯულება N3, თბილისი, 2007, გვ.150-151

კერძოდ, სასამართლოს ევალება დროულად გადაუგზავნოს მოპასუხეს სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლები, აგრეთვე, ყველა სხვა მასალა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას იმ ფაქტიური გარემოებების შესახებ, რომლებიც წამოყენებულია მის წინააღმდეგ მოსარჩელის მიერ, თავის მხრივ, სასამართლოს ევალება დროულად გადაუგზავნოს მოსარჩელეს, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი წერილობითი შესაგებელი და სხვა მასალები (სსკ 203-ე მუხლი). „დროულად ეცნობოს" იმას ნიშნავს, რომ მხარემ ასეთი ინფორმაცია უნდა მიიღოს საქმის მომზადების სტადიაზე, ხოლო გამონაკლის შემტხვევაში, ამ სტადიის დამტავრების შემდეგ, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ მან შეძლოს მოემზადოს მთავარი სხდომისთვის.[64]

მნიშვნელოვანია განვმარტოთ თუ რა იგულისხმება საქმეზე დროულად ინფორმირებაში, ვინაიდან სასამართლო განხილვა შედგება მოსამაზადებელი და მთავარი სხდომებისაგან. დროულად ინფორმირებულად ჩაითვლება მხარე რომელსაც დოკუმენტაცია ჩაბარდა მოსამზადებელ სხდომამდე ან არაუგვიანეს ამ სხდომის დამთავრებამდე. [65] იმ შემთხვევაში თუ მხარესათვის ცნობილი არ ამ ეტაპებზე საქმის სადავო ფაქტობრივი გარემოებები მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის კიდევ ერთ დაუშვებლობის საფუძველს წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან სარჩელის არასწორად მიღების შემთხვევა. მოსამართლემ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებამდე ვალდებულია კიდევ ერთხელ გარკვიოს ხომ არ არსებობდა საერთოდ სსსკ -ის 186-ე მუხლით[66] გათვალისწინებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის რომელიმე საფუძველი. იმ შემთხვევაში თუ ეს საფუძველი სხდომაზე საქმის განხილვის დროს გამოიკვეთა ვალდებულია სარჩელი განუხილველად დატოვოს ან შეწყვიტოს საქმეზე წარმოება.[67]

საქმეზე # ას-914-876-2014, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს არ შეუმოწმებია, არსებობდა თუ არა სარჩელის აღძვრის წინაპირობები. კერძოდ, აღნისნულ საქმეში მოსარჩელეს სარჩელში არ მიუთითებია აღიარებითი სარჩელის აღძვრის იურიდიულ ინტერესზე, მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლომ 01.04.2013 წლის

---

[64] თ. ლილუაშვილი,სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, ჯისიაი, თბილისი, 2005, გვ.396

[65] თ. ლილუაშვილი,სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, ჯისიაი, თბილისი, 2005, გვ.395

[66] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 186, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

[67] თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, ჯისიაი, თბილისი, 2005, გვ.396

განჩინებაში სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად მიიჩნია, ასევე, სსსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესის მიუთითებლობა, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ 27.05.2013 წლის განჩინებით ისე გააუქმა ზემოხსენებული განჩინება, რომ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ეს საფუძველი არ შეუმოწმებია.[68]

იმის მიხედვით, თუ რა გარემოებითაა განპირობებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა, სსსკ-ის 233-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს საქმის განილვის სხვა დროისთვის გადადებას ან საქმის წარმოების შეწყვეტას.[69]

ამრიგად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია თუ, მხარე მოწვეული არ ყოფილა სხდომაზე, ანუ მისთვის არ ჩაუბარებიათ სასამართლო უწყება საერთოდ, ან ჩააბარეს ისე, რომ შეზღუდული დროის გამო ვერ შეძლო პროცესზე დროულად გამოცხადება, ან საქმის განილვისთვის მომზადება ანდა უწყება კი დროულად გადაეცა, მაგრამ თავად უწყება ისე იყო შედგენილი, რომ არ შეესაბამებოდა მისთვის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და არ ირკვეოდა მისი შინაარსი და სხვ.[70]

აქედან გამომდინარე, თუ აღმოჩნდება  რომ არ არსებობს სარჩელის აღძვრის ესა თუ ის წინაპირობა, სასამართლოს შეიძლება მოუხდეს არა მარტო საქმის წარმოების შეწყვეტა, როგორც ეს მითითებულია სსსკ-ის 233-ე მუხლის მე-2 ნაწილში[71], არამედ სარჩელის განუხილველად დატოვება, იმის მიხედვით, თუ სარჩელის აღძვრის რომელი წინაპირობა არ არსებობს.[72] ხოლო იმ შემთხვევებში თუ მხარეს უწყება არ აქვს ჩაბარებული 70-78-ე მუხლებით[73] დადგენილი წესით, ასევე სახეზეა დაუძლეველი ძალა, რომელიც მხარის სხდომაზე გამოცხადებას ხელს უშლის სასამართლო ვალდებულია სხდომა გადადოს და გამოუცხადებელ მხარეს კანონით დადგენილი წესით აცნობოს ახალი სხდომის თარიღის შესახებ.

---

[68] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის განჩინება #ას-914-876-2014, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

[69] თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენატარები, სამართალი, თბილისი, 2007, გვ.422

[70] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში, მართლმსაჯულება N3, თბილისი, 2007, გვ.150

[71] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 233, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48, 17. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

[72] თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენატარები, სამართალი, თბილისი,  2007, გვ.422

[73] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 70-78-ე, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

## 4.2 დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი

სსსკ-ის 249-ე მუხლი [74] ადგენს ზოგადად სასამართლოს გადაწყვეტილებების სტრუქტურის ფორმას. კანონის მოთხოვნების თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილება შედგება ოთხი ნაწილისგან: შესავალი ნაწილი, აღწერილობითი ნაწილი, სამოტივაციო ნაწილი და სარეზოლუციო ნაწილი. სსსკ-ის 234-ე მუხლი[75] თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი უნდა ჩამოყალიბდეს სსსკ-ის 249-ე მუხლით დადგენილი წესების (მოთხოვნების) შესაბამისად, მაგრამ სამოტივაციო ნაწილის ჩამოყალიბების გარეშე. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ეს თავისებურება ბუნებრივიცაა, ვინაიდან დაუსწრებელი გადაწყვეტილება ესაა გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება მხოლოდ გამოუცხადებლობას ან შესაგებლის წარუდგენლობას და არა საქმის მასალებს და ამიტომ მისი შინაარსი ყალიბდება დასაბუთების (მოტივაციის) გარეშე.[76]

მოპასუხის წინააღმდეგ გამოტანილ დაუსწრებელი გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში არ აისახება მოპასუხის მოსაზრებები, რამეთუ მოპასუხე არ გამოცხადებულა.[77]

სარეზოლუციო ნაწილში, გარდა სარეზოლუციო ნაწილისთვის კანონით დადგენილი მოთხოვნებისა, უნდა აისახოს პერსონიფიცირებული ჩანაწერი: "საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ მხარემ შეიძლება შეიტანოს10 დღის განმავლობაში, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში."[78]

სასამართლო გადაწყვეტილება ყოველთვის საჯაროდ ცხადდება. დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან მიმართებით ასევე საინტერესოა მისი გამოცხადების წესიც. მოსამართლე სათათბირო ოთახში გაუსვლელად ანუ ადგილზე თათბირით უფლებამოსილია გამოაცხადოს გადაწყვეტილება. კანონში არაფერი არ არის მითითებული დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში თუ რა ფორმით უნდა იქნას იგი მოსამართლის მიერ გამოცხადებული. ლოგიკურად დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დროს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები დადასტურებულია, ამიტომაც მოსამართლეს აქვს უფლება მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში იხემძღვანელოს სსსკ-ის 257-ე მუხლის

---

[74] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 249, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

[75] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 234, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

[76] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2015, გვ.640

[77] იქვე.

[78] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2015, გვ.640

თანხმად და სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან გადადადოს გადაწყვეტილების გამოცხადება.[79]

## 4.3 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

გასაჩივრებას ექვემდებარება სასამართლოს მიერ მიღებული ყველა სახის გადაწყვეტილება, თუმცა, რამდენადაც დაუსწრებელი გადაწყვეტილება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებისაგან ბევრი ნიშან-თვისებით განსხვავდება, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება გასაჩივრების წესებითაც.[80]

ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილება და მათ შორის დაუსწრებელი გადაწყვეტილებაც, არის მართლმსაჯულების აქტი, რომლის მეშვეობითაც წესრიგდება მოდავე მხარეებს შორის სამართლებრივი ურთიერთობები. გადაწყვეტილება სასამართლო საქმიანობის საბოლოო პროდუქტად მიიჩნევა, იმ მიზეზით, რომ მასში ხდება ყველა იმ მსჯელობის გამოყენება, რომლითაც სასამართლო მიდის საბოლოო დასკვნამდე.[81]

კანონმდებელი დაუსწრებელ გადაწყვეტილებას განიხილავს, როგორც სანქციას საპროცესო მოქმედების არასაპატიო მიზეზით არშემსრულებელი მხარის მიმართ. აღნიშნული გამომდინარეობს იქედან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, განსხვავებით გერმანიის საპროცესო კანონმდებლობიდან, დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანა არ იწვევს ავტომატურად საქმის წარმოების განახლებას და სარჩელის არსებითად განხილვას. მართლაც, თუ მხარე ასაჩივრებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, ცხადია, მას საქმის მიმართ ინტერესი არ დაუკარგავს.[82]

გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია, გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას; ასევე, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.[83]

---

[79] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2015, გვ.610

[80] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში, მართლმსაჯულება N3, 2007, გვ.152

[81] მ. სულხანიშვილი, სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც საპროცესო დოკუმენტი და მისი გასაჩივრების ფორმები მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი N4 (47)15, თბილისი, 2015, გვ.19

[82] ს. ჩხაიძე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში-ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, მართლმსაჯულება და კანონი N4, თბილისი, 2012, გვ.40-41

[83] ავტორთა კრებული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, რჩეული მუხლები, GIZ, თბილისი, 2020, გვ.924

ე.ი. დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხოლოდ მხარის მიერ საქმისადმი ინტერესის დაკარგვის პრეზუმფცია რომ იყოს, საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე ყოველთვის გააქარწყლებდა ამ დაშვებას.[84]

ამის ნაცვლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შეზღუდულ და მკაცრ პირობებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 236-ე მუხლის [85] შესაბამისად, პროცესზე გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გაასაჩივროს გადაცემიდან 10 დღეში და მოითხოვოს როგორც ამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება, ისე, საქმის წარმოების განახლება. თუმცა არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ 236-ე მუხლი ამ უფლების უზრუნველყოფისათვის მხარეს უდგენს, საჩივრით მიმართოს არა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, როგორც ეს ზოგადად ყველა სახის გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვისაა დადგენილი, არამედ თავად ამ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს. [86] ჩვეულებრივი გადაწყვეტილებისგან დაუსწრებელი გადაწყვეტილება განსხვავდება საჩივრის განმხილველი სასამართლოს ინსტაციის და საჩივრის ვადის მიხედვით. გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი (სსსკ 237) [87] . ამ ვადის გასვლის შემდეგ კი დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენს კანონით დადგენილ ვადაში მისი შეტანა. ამის გარკვევის მიზნით სასამართლომ უნდა დაადგინოს, სსსკ-ის 237-ე მუხლი შესაბამისად, თუ როდის გაეგზავნა და ჩაბარდა საჩივრის ავტორს მის წინააღმდეგ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი, როდის იქნა საჩივარი შეტანილი, ხოლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისას უტყუარად უნდა დაადგინოს გამოუცხადებლობის მიზეზები, სსსკ-ის 233-ე მუხხლი შესაბამისად ხომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის საფუძველი და მხოლოდ ამის

---

[84] ს. ჩხაიძე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში-ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, მართლმსაჯულება და კანონი N4, თბილისი, 2012, გვ.41

[85] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 236, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

[86] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში, მართლმსაჯულება N3, თბილისი, 2007, გვ.152

[87] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 237, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

შემდეგ უნდა გადაწყდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების საკითხი.[88]

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უფრო მეტ დროს აძლევს დაინტერესებულ მხარეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის. 339-ე პარაგრაფის მიხედვით, ეს ვადა გადაწყვეტილების გადაცემიდან ორ კვირას შეადგენს. გერმანელი კანონმდებლები უფრო მეტად ცდილობენ ამ ურთიერთობის რეგულირებას იგივე პარაგრაფის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილება საზღვარგარეთ უნდა გაიგზავნოს ან პუბლიკაციის მეშვეობით უნდა გამოქვეყნდეს, სასამართლო ცალკე უთითებს გასაჩივრების ვადას თავად დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში, ანდა მოგვიანებით სპეციალური განჩინებით დაადგენს მას. მსგავსი ნორმები ქართულ კანონმდებლობაში არ გვხვდება და არც ისაა ძნელი მისახვედრი, რომ, თუ გერმანული კოდექსით მოწესრიგებულ ურთიერთობა საქართველოშიც წარმოიქმნება, შესაძლოა ბევრი უხერხულობა შეიქმნას მათ დარეგულირებასთან დაკავშირებით.ერთ შემთხვევაში შესაძლოა საზღვარგარეთიდან 10 დღეში საჩივრის გამოგზავნა და ჩაბარება ვერ მოესწროს, მეორე შემთხვევაში კი, რამდენადაც პუბლიკაციის დღე გადაწყვეტილების ჩაბარების დღედ ჩაითვლება, საერთოდ ვერ შეძლოს საჩივრის წარდგენა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გასაჩივრებისათვის ზოგადად დადგენილ საკმაოდ მოკლე ვადაში ვერც პუბლიკაცია აღმოაჩინოს და ვერც საჩივრის მომზადება მოესწროს.[89]

არასწორად გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში მხარემ არა მარტო უნდა აკონტროლოს, რომ არ დაარღვიოს კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადა, არამედ უნდა გაითვალისწინოს სსსკ -ის 238-ე მუხლის [90] მიხედვით არსებული ის კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა შეიცავდეს საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის არსებითი განახლების შესახებ.

საპროცესო კოდექსით დადგენილია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტანი მოსამართლე საჩივრის მიღების საკითხს წყვეტს მხარეთათვის შეუტყობინებლად.[91] უპირველეს

---

[88] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2015, გვ.641

[89] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში, მართლმსაჯულება N3, თბილისი, 2007, გვ.152-153

[90] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 238, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

[91] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 239, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

ყოვილისა, სასამართლომ უნდა იმსჯელოს საჩივრის დასაშვებობის თაობაზე, რის გარეშეც შეუძლებელია თვით დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებაც.[92]

პირველი მოქმედება, რომელიც უნდა შეასრულოს სასამართლომ საჩივრის მიღების შემდეგ, არის მისი დასაშვებობის შემოწმება. ამისთვის სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, არსებობს თუ არა საჩივრის დასაშვებობის პირობები, კერძოდ:

ა) დაცულია თუ არა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების 10 დღიანი ვადა.

ბ) შეიტანა თუ არა საჩივარი უფლებამოსილმა პირმა. სსსკ-ის 236–ე მუხლი განსაზღვრავს, თუ ვის შეუძლია გაასაჩივროს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და რომელ სასამართლოში შეიძლება მისი გასაჩივრება (იგულისხმება პირველი დაუ-სწრებელი გადაწყვეტილება). ამ მუხლის თანახმად, დაუსწრებელ გადა-წყვეტილებაზე საჩივრის შეტანა შეუძლია მხარეს, რომლის წინააღმდეგაც ის გამოტანილია. ეს გადაწყვეტილება უნდა გასაჩივრდეს იმ სასამართლოში, რომელმაც იგი გამოიტანა.

გ) პასუხობს თუ არა საჩივრის შინაარსი კანონის მოთხოვნებს (სსსკ-ის 238–ე მუხლი). დ) გადახდილია თუ არა სახელმწიფო ბაჟი.[93]

ასეთია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის განხილვის განახლებაზე საჩივრის დასაშვებობის პირობები. თუ საჩივრის მიღება სასამართლოს არ მიაჩნია დასაშვებად მას გამოაქვს ამის შესახებ განჩინება, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.[94]

წარმოებაში მიღებული საჩივრის განხილვა ხდება სასამართლო სხდომაზე, რომელზეც კოდექსით დადგენილი წესით მოწვეული იქნება ორივე მხარე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 240-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ძველი რედაქციის შესაბამისად, თუ საქმის სასამართლო განხილვის შედეგად აღმოჩნდებოდა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო, სასამართლოს გამოჰქონდა ახალი გადაწყვეტილება. იგივე მუხლის დღესაც მოქმედი მე-2 პუნქტი კი უთითებს, რომ თუ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჩივრის დაუკმაყოფილებლობის და გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.[95]

---

[92] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2015, გვ.643

[93] ავტორთა კრებული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, რჩეული მუხლები, GIZ, თბილისი, 2020, გვ.924-925

[94] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2015, გვ.643

[95] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში, მართლმსაჯულება N3, თბილისი, 2007, გვ.153

მნიშვნელოვანია დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვის ეტაპზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების ფარგლები; უფრო კონკრეტულად, საკითხავია უნდა შემოიფარგლოს თუ არა სასამართლო დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვისას საჩივარში მითითებული არგუმენტებით, თუ იგი უფლებამოსილია შეამოწმოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერება ზოგადად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე და 241-ე მუხლებთან მიმართებით.[96]

ჩნდება დასკვნა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას სასამართლო აფიქსირებს ახალი გადაწყვეტილებით (სასამართლო აქტით), ანუ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უქმდება გადაწყვეტილებით. ამ ინტერპრეტაციაში შეიძლება ეჭვის შეტანის საფუძველიც არ იყოს, რადგან, იქვე მე-2 პუნქტი აცხადებს, რომ თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ უქმდება, გამოდის განჩინება (როგორც ასეთი სასამართლო აქტი), რომლითაც საჩივარი არ დაკმაყოფილდება და ძალაში დარჩება დაუსწრებელი გადაწყვეტილება.[97]

თუ მხარე არ იყო სათანადო წესით მოწვეული სასამართლო სხდომაზე; თუ მას არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; თუ არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები, თუ სარჩელი იურიდიულად გაუმართლებელია, თუ საქმის მასალებიდან იკვეთება, რომ მხარეს ობიექტურად არ შეეძლო სხდომაზე გამოცხადება, სასამართლო ვალდებულია გააუქმოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, მიუთითებს თუ არა ამ გარემოებების თაობაზე საჩივრის ავტორი.[98]

## 4.4 სასამართლოს უფლებამოსილება

## დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისას

სსსკ-ის 240-ე მუხლის[99] მიხედვით, სასამართლოს, რომელმაც განიხილა საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, უფლება აქვს თავისი განჩინებით:

1. თუ საჩივრის განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ ამ კოდექსის 232[1] მუხლის შესაბამისად გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ საფუძვლით,

---

[96] ს. ჩხაიძე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში-ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, მართლმსაჯულება და კანონი N4, თბილისი, 2012, გვ.47

[97] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში, მართლმსაჯულება N3, თბილისი, 2007, გვ.153

[98] ს. ჩხაიძე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში-ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, მართლმსაჯულება და კანონი N4, თბილისი, 2012, გვ.47

[99] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 240, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

რომ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, სასამართლო განჩინებით აუქმებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და მოპასუხეს აღუდგენს პასუხის (შესაგებლის) წარდგენისათვის ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადას.

თუ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჩივრის დაუკმაყოფილებლობისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.[100]

სსსკ-ის 240-ე მუხლის და 241-ე მუხლის შესაბამისად, თუ საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, სასამართლოს შეუძლია მიიღოს ახალი გადაწყვეტილება.[101]

იმ ვითარებაში, როცა პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის განხილვა მიმდინარეობს სსსკ-ის 240-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, ერთ სასამართლო სხდომაზე მიიღოს განჩინება პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ და გააგრძელებს რა საქმის არსებითად განხილვას, ამის შემდეგ მიიღებს ახალ გადაწყვეტილებას სარჩელთან დაკავშირებით, მაგრამ ამ წესის დაუცველობა არ წარმოადგენს სსსკ-ის 240-ე მუხლის დარღვევას და თავისთავად არ წარმოადგენს ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.[102]

თუ მხარეები დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრისა და საქმის არსებითად ერთად  განხილვის წინააღმდეგნი არიან, მაშინ სასამართლოს შეუძლია მიიღოს განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ და საქმის არსებითად განხილვა დანიშნოს სხვა დროისთვის. ამ შემთხვევაშიც არ დაირღვევა სსსკ-ის 240-ე და 241-ე მუხლის მოთხოვნები.

სასამართლომ, რომელსაც გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელის სასარგებლოდ, თავის ამ გადაწყვეტილებაში ყოველთვის უნდა მიუთითოს, თუ რომელი კანონის (ნორმის) საფუზველზეა გამართლებული ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა.[103]

---

[100] იქვე.

[101] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2015, გვ.645

[102] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2015, გვ.645

[103] სუსგ კრებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი 2002 წ.  N7. გვ.1192-1195

# თავი 5. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებანი სააპელაციო ინსტანციაში

## 5.1 სააპელაციო ინსტანციის არსი

საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ მე-2 მუხლის თანახმად საქართველოს საერთო სასამართლოთა სისტემა შედგება რაიონული საქალაქო სასამართლოებისგან, სააპელაციო სასამართლოსაგან და უზენაესი სასამართლოსაგან.[104]

დღეს საქართველოს საერთო სასამართლოთა სისტემაში მოქმედებს ორი მეორე ინსტანციის სასამართლო, ეს არის ქუთაისის და თბილისის სააპელაციო სასამართლოები.[105]

საქართველოში სასამართლო ინსტანციათა შორის სააპელაციო ინსტანციის სასამართლო დღეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად გამოჩნდა. ამ კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც პირველი ინსტანციის საქმეთა განხილვისთვისაა დადგენილი, თუმცა, ეს წარმოება მიმდინარეობს იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რომელსაც მოიცავს კოდექსის სააპელაციო სასამართლოში საქმისწარმოების თავი. სააპელაციო სასამართლო ამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალთახედვით და, რაც ყველაზე მთავარია, გადაწყვეტილების შემოწმებას ახორციელებს საქმის ხელახალი განხილვის გზით.[106]

აპელაციის მიზანია საქმის ხელახლა გადაწყვეტა, ე.ი. საქმის ხელმეორეთ (განმეორებით) მთლიანად ან ნაწილობრივ არსებითად განხილვა. იმ საკითხის გადაწყვეტა, საქმის ხელმეორედ განხილვა მთლიანად უნდა მოხდეს თუ ნაწილობრივ, ხდება სააპელაციო საჩივრის შინაარსის მიხედვით.[107]

სამოქალაქო სამართალწარმოებაში სააპელაციო გასაჩივრების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხარეებსა და დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირებს უფლება აქვთ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით სააპელაციო

---

[104] საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მუხლი 2, საქართველოს პარლამენტი. 04/12/2009, 2257. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=42

[105] საქართველოს იუსტიცის უმაღლესი საბჭო, http://hcoj.gov.ge/ka/

[106] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანცის სასამართლოში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონდებლობის მიხედვით, თემიდა N10(12)-2016, 2016, გვ.23

[107] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2015, გვ.649-650

საჩივრით მიმართონ პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შეუსვლელი დადგენილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით (მოთხოვნით).[108]

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელმეორედ განხილვის დროს ითვლება, რომ მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება თიტქოსდა არც არსებულიყოს.[109]

ყველა ის გარემოება, რაც ზემოთ იყო განხილული, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, ვრცელდება სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც. თუმცა, სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელემ შეიძლება პირობითად მოპასუხის ადგილი დაიკავოს, ხოლო მოპასუხემ _ აპელანტის, რაც, რა თქმა უნდა, იმაზეა დამოკიდებული, ვინ ასაჩივრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას. საყურადღებოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დამატებით მაინც ამახვილებს ყურადღებას სააპელაციო სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაზე.[110]

## 5.2 მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას

სსსკ ითვალისწინებს მხარეთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 387-ე მუხლი.[111]

აპელაციაში დაუსწრებელი წარმოების დროს მოქმედებენ იგივე წესები, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამიტომ, ყველაფერი, რაც ეხება დაუსწრებელ წარმოებას პირველი ინსტანციის სასამართლოში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა მთლიანად ეხება დაუსწრებელ წარმოებას სააპელაციო სასამართლოში.[112]

საყურადღებოა, რომ ჩვენი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დამატებით მაინც ამახვილებს ყურადღებას სააპელაციო სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობის

---

[108] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2015, გვ.650

[109] იქვე.

[110] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანცის სასამართლოში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონდებლობის მიხედვით, თემიდა N10(12)-2016, 2016, გვ.23

[111] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 387, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

[112] თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, ჯისიაი, თბილისი, 2005, გვ.484

შემთხვევაზე. კოდექსის 387-ე მუხლის მიხედვით დადგენილია, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს სააპელაციო სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობას.[113]

კოდექსის 387-ე მუხლის მიხედვით დადგენილია, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს სააპელაციო სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობას. თუ საქმის ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდება სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი, მაშინ მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომლითაც აპელანტს უარს ეტყვის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე; ეს დებულება ზუსტად იმეორებს იმ ურთიერთობის მოწესრიგების წესს, როცა პირველი ინსტანციის სასამართლოში სხდომაზე არ ცხადდება მოსარჩელე. რაც შეეხება გარემოებას, როდესაც სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე, აპელანტის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. აქ სახეზეა გარემოება, რომელიც პირველ ინსტანციაში გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს აკმაყოფილებს მომჩივნის ახსნა-განმარტების საფუძველზე და არა იმ აუცილებელი პირობით, რომ სარჩელის საფუძვლები იურიდიულად ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას.[114]

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსიც ნათლად აყალიბებს აპელანტის გამოუცხადებლობის შედეგებს, აპელანტის გამოუცხადებლობა საქმის ზეპირ განხილვაზე დამთავრდება დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მისი აპელაციის დაუკმაყოფილებლობის შესახებ, რასაც წინ უნდა უძღოდეს გამოცხადებული მხარის შუამდგომლობა.[115]

გერმანული კოდექსის 539-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის მსგავსად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები. მსგავს შემთხვევებს თუ გადავხედავთ, ეს შეიძლება იყოს პირველ ინსტანციაში მოსარჩელის, ხოლო აპელაციაში აპელანტის განმეორებითი გამოუცხადებლობა პროცესზე, იმ შემთხვევაში, თუ პირველი გამოუცხადებლობისას საქმის განხილვა გადადებულ იქნა, ან იგივე გარემოებებში

---

[113] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში, მართლმსაჯულება N3, თბილისი, 2007, გვ.149

[114] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანცის სასამართლოში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონდებლობის მიხედვით, თემიდა N10(12)-2016, თბილისი, 2016, გვ.24

[115] Гражданское процессуальное уложение Германии 1877, Перевод с немецкого, Москва- Берлин, 2016 & 539

მოპასუხის განმეორებითი გამოუცხადებლობა, ანდა პროცესზე გამოცხადებული მხარის უარი საქმეში მონაწილეობის მიღებაზე.[116]

აღსანიშნავია, რომ სააპელაციო ინსტანციაშიც საქმის განხილვის დროს, დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებული იქნეს მხარეთა გამოუცხადებლობის ან პროტესტის ნიშნად სხდომის დატოვების შემთხვევაში.

## 5.3 შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას

სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვის დროს შესაგებლის წარმოუდგენლობა აღარ არის საფუძველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების. აღნიშნული სასამართლო პრაქტიკა 2016 წლის 24 დეკემბრის მერე დაინერგა, თუმცა იქამდე არსებულ მეორე ინსტანციის სასამართლო პრაქტიკაში არა ერთი გადაწყვეტილება მოიძებნება, რომელიც შესაგებლის წარუდგენლობის გამო იქნა მიღებული.

საყურადღებოა, რომ სწორედ სუს-მა ერთ-ერთ საქმეზე, შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საკითხზე არ მსჯელობის გამო გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, იმ მიზეზით, რომ მხარეს არ ჰქონდა შესაგებელი წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარზე და სასამართლომ ისე უთხრა აპელანტს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, რომ არც კი იმსჯელა შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საკითხზე.[117]

რადგანაც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიზანია გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება, აპელაციის ამ მიზნიდან გამომდინარე, დაუშვებელია პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოთა დანიშნულების ნიველირება და პირველ ინსტანციაში დადგენილი საქმის განხილვის ყველა წესის გადმოტანა აპელაციაში.[118]

აღნიშნულ განჩინებაში სუს-მა არა მარტო საპროცესო ნორმებზე იმსჯელა, რომლებიც არეგულირებს სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვის წესს, არამედ განმარტა ქართული სააპელაციო სასამართლოს მოდელის თავისებურებები და „ზემოაღნიშნულიდან შეიძლება

---

[116] ი. მერებაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონდებლობაში, მართლმსაჯულება N3, თბილისი, 2007, გვ.150

[117] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 24 დეკემბრის განჩინება საქმეზე #ას-1532-1435-2012, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

[118] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული პრობლემები, სამართალი და მსოფლიო N2, თბილისი, 2015, გვ.56

დავასკვნათ, რომ სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარუდგენლობა ხელს არ უშლის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანაში, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარეები სარგებლობენ ფართო საპროცესო უფლებებით და წარადგენენ საქმისთვის საჭირო ყველა იმ მტკიცებულებას, რომელსაც მიიჩნევენ მნიშვნელოვნად თავიანთი მოთხოვნისა თუ შესაგებლის დასაცავად..."[119]

საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ" მე-17 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად [120], უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტება სავალდებულოა საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი ყველა სასამართლოსთვის. სწორედ ამიტომ, ზემოაღნიშნული განმარტების შემდეგ, სააპელაციო ინსტანციაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში.

[119] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 24 დეკემბრის განჩინება საქმეზე #ას-1532-1435-2012, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

[120] საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მუხლი 17, საქართველოს პარლამენტი. 04/12/2009, 2257. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=42

# თავი 6. მხარეთა სათანადო ინფორმირება, როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებელი პირობა

## 6.1 სასამართლო უწყების ჩაბარების წესი

საქმის განხილვა რომელიმე მხარი დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, ანუ რომელიც არ იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, სასამართლოს გადაწყვეტილების უპირობოდ გაუქმების საფუძველია (სსსკ-ის 385-ე მუხლის 1-ი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).[121]

გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას და, მაშასადამე, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.[122]

საპროცესო კოდექსის მიხედვით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლიტურ საფუძვლად მიიჩნევა სასამართლო უწყების ჩაბარების წესის დარღვევა, თუ მხარეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო 70-78-ე მუხლის დაცვით არ გაეგზავნა შეტყობინება და სარჩელის განხილვა მოხდა მხარის შეუტყობინელად, 394-ე მუხლის მიხედვით ეს გარემოება გახდება გადაწყვეტილების აბსოლიტური გაუქმების საფუძველი.[123]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის დადგენილებაში (საჩივარი N 74286/01) მითითებულია: კანონი შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებს ავალდებულებს სასამართლო სხდომაზე მხარეები მოიწვიონ სათანადო ფორმით. მხარეს სასამართლო უწყება უნდა გაეგზავნოს ფოსტით, ან ჩაბარდეს კურიერის მეშვეობით.[124]

საპროცესო კანონდებლობა უწყების ჩაბარების რამდენიმე საშუალებას იცნობს, მათ შორის: საფოსტო გზავნილი, სატელეფონო შეტყობინება, ფაქსი, ან მხარეთა მიერ შეთანხმებული განსხვავებული საკომუნიკაციო სფერო. ყურადღსაღებია თბილისის

---

[121] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2015, გვ.419

[122] თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, ჯისიაი, თბილისი, 2005, გვ. 394

[123] იქვე.

[124] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2015, გვ.420

სააპელაციო სასამართლოს განმარტება უწყების სატელეფონო საშუალებით ჩაბარების საკითხთან მიმართებაში. სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე განმარტავს - თუ მხარეს უწყება ბარდება სატელეფონო აქტის მეშვეობით იმ ნომერზე, რომელიც მხარის მიერ დაფიქსირებული იყო წარმოდგენილ, რომელიმე საპროცესო დოკუმენტში, შემდგომში კი აღნიშნული ნომერს ის ოჯახში არამუდმივად მყოფს პირს გადასცემს შემდეკ კი ამ პიროვნების მიერ მოხდება უწყების ჩაბარება, რა საფუძვლითაც პირი სხდომაზე არ გამოცხადდება, სასამართლოს მხრიდან აღნიშნული გამოუცხადებლობა შემდგომში არ იქნება შეფასებული, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად.[125]

რაც შეეხება ფოსტის მეშვეობით სასამართლო უწყების ჩაბარების წესს, სსსკ-ის 70-78-ე მუხლების მიხედვით, უწყება იგზავნება მხარის მიერ მითითებულ ან სასამართლოსთვის ცნობილ მისამართზე. მხარის მიერ ძირითად მისამართზე უწყების ჩაუბარებლობის შემთხვევაში უწყება იგზავნება ალტერნატიულ მისამართზე. სასამართლოს მიერ ალტერნატიული მისამართის პრაქტიკაში არსებული გადამოწმების ერთ-ერთ კარგ საშუალებად მიიჩნევა ცენტრალური საარჩევნო კომისის ვებ-გვერდი[126], სადაც შეიძლება პიროვნების პირადი ნომრისა და გვარის მეშვეობით მოიძიო ადრესატის რეგისტრირებული მისამართი.

## 6.2 საჯარო შეტყობინება

იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო უწყება მხარეს ვერ ჩააბარდა ვერც ერთ მისამართზე, სასამართლო მიმართავს შსს ტერიტორიულ საუბნო სამსახურს, ან საჯარო შეტყობინებას აქვეყნებს სასამართლოს ვებ-გვერდზე, ან სასამართლოს შენობაში არსებულ სტენდზე.

სასამართლო შეტყობინებების ჩაბარება მხარისთვის საჯაროდ გავრცელების გზით შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. მნიშვნელოვანია სასამართლო ეცადოს მხარეს სასამართლო შეტყობინება ჩააბაროს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მითითებული რომელიმე საშუალებებით. თუ ამოიწურა მხარისათვის ზემოთ მითითებული საშუალებებით სასამართლო შეტყობინებების ჩაბარების შესაძლებლობა ან თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლო იყენებს საჯარო შეტყობინებას.

საჯარო შეტყობინება ხორციელდება ორ შემთხვევაში:

---

[125] თბილისის საპელაციო სასამართლოს 2016 წლის 29 მარტის განჩინება საქმეზე საქმეზე №2ბ/33-15, http://library.court.ge/judgements/14942017-04-17.pdf

[126] https://cesko.ge/

1. როდესაც მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან

2. მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება.

საჯარო შეტყობინება გამოიყება, თუ უცნობია მოპასუხის ადგილსამყოფელი სარჩელის აღძვრისას.

თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, თუმცა მოსარჩელეს მითითებული აქვს მოპასუხის უკანასკნელი ადგილსამყოფელის ან სამუშაო ადგილის მისამართი, სასამართლო შეტყობინება გაიგზავნება მოპასუხის უკანასკნელი ადგილსამყოფლის ან სამუშაო ადგილის მიხედვით და თუ ვერ მოხერხდება მოპასუხისათვის სასამართლოს შეტყობინების ჩაბარება, მხოლოდ აღნიშნულის შემდეგაა სასამართლო უფლებამოსილი გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.[127]

სსსკ-ის 78-ე მუხლის მიხედვით, „თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია, ან მისთვის სასმართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.[128]

სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. [129] ცალსახაა, რომ მოსარჩელე როგორც დაინტერესებული მხარე არასდროს ეცდება აღნიშნული უწყების, ან გზავნილის გაზეთში საკუთარი ხარჯებით გამოქვეყნებას და მხარის ინფორმირებას.

ერთმნიშვნელოვანია, რომ საერთო სასამართლოების ვებ-გვერდი რომელიც სასამართლოსთვის საჯარო შეტყობინების გამოქვეყნების ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევა დღეისათვის მხოლოდ იურისტებისთვის და ამ სფეროთი დაინტერესებული პირებისათვის არის ცნობილი.[130]

საჯარო შეტყობინების გავრცელების ინსტიტუტს ხშირად ფორმალური დატვირთვა აქვს და არ ემსახურება რეალურად მხარისთვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარებას/ხელმისაწვდომობას. მოპასუხე, რომელიც ვერ იქნა მითითებულ მისამართზე

---

[127] იუსტიციის უმაღლესი საბჭო http://www.geocourts.ge/?action=text

[128] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 78. საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. საქართველოს საკანონდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145

[129] სუსგ, კრებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი საქმე #№2/32-2013წ.

[130] იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საქართველოს საერთოს სასამართლოთა დეპარტამენტი, http://geocourts.ge/

მოძიებული, ხშირ შემთხვევაში საჯარო შეტყობინებასაც ვერ ნახულობს, რასაც საბოლოოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან მივყავართ.

პრეცედენტულია ადამიანის უფლებათა ევროპილი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ,,გახარია საქართველოს წინააღმდეგ". აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა და მიუთითა: „სასამართლო არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ სასამართლო უწყებებისა და გადაწყვეტილებების ჩაბარება მათი მედიაში გამოქვეყნების საშუალებით შეიძლება ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს, რომ უზრუნველყოფილი იყოს საქმის წარმოების სისწრაფე და ეფექტურობა" [131] მაგრამ აქვეა აღნიშნული: „...ეს პროცედურა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა პროცედურული გარანტიების, განსაკუთრებით, მხარეთა თანასწორობის პრინციპის, საზიანოდ (იხ. 34-ე პარაგრაფი). შესაბამის პერიოდში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო უწყებების ჩაბარება მათი გამოქვეყნების გზით უნდა ყოფილიყო გამოყენებული სათანადო გულისხმიერებით და როგორც უკიდურესი ღონისძიება (იხ. სსკ-ის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; ასევე, იხილეთ აღნიშნულთან დაკავშირებით ზემოთ მოხსენიებული მიჰოლაპას საქმე, § 29). სასამართლოს აზრით, ამ წესის ხისტმა გამოყენებამ მიმდინარე საქმეში შეამცირა მომჩივნის შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო საქმის წარმოებაში და დაეცვა თავისი ინტერესები. [132] ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საჯარო შეტყობინების ამ წესს მხოლოდ ფორმალური დატვირთვა აქვს.

### 6.3 წარმომადგენლის სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგი

მხარეთა გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი შეიძლება გახდეს როგორც მხარის, ისე მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობა. მნიშვნელოვანია სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინება სწორედ ისეთი ტიპის დაუსწრებელ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში, როდესაც პროცესზე მხარე წარმოდგენილია წარმომადგენლის მეშვეობით. სასამართლო პრაქტიკა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო გარემოება ვერ გახდება საფუძველი წარმომადგენლის არასაპატიოდ გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების არ მიღებისა. სუს-მა ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ წარმომადგენლის

[131] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2017 წლის 17 იანვარი საქმეზე „გახარია საქართველოს წინააღმდეგ", 44 პარაგრაფი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3830399?publication=0:

[132] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2017 წლის 17 იანვარი საქმეზე „გახარია საქართველოს წინააღმდეგ", პარაგრაფი 44, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3830399?publication=0:

ავადმყოფობის გამო მხარის გამოუცხადებლობა და ამის შესახებ სასამართლოსათვის წინასწარ შეუტყობინებლობის არსებობის ფაქტი ვერ გახდება მხარისათვის საპატიო გარემოება, ამ შემთხვევაში მხარე ვალდებულია გამოცხადდეს სხდომაზე და მოითხოვოს საქმის განხილვის გადადება.[133]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ცალკე არ არეგულირებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირს წარმომადგენლობითი ფუნქციების განხორციელება უწევს ერთ დღესა და ერთ საათზე დანიშნულ სხვადასხვა სხდომებზე. აღნიშნული დარეგულირებულია მხოლოდ სასამართლო პრაქტიკით ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა თუ გამოწვეულია მისგან გამოწვეული ობიექტური მიზეზით მათ შორის წარმომადგენლობითი ფუნქცის განხორციელებით სხვა სხდომაზე და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას ვერ ახერხებს, აღნიშნული შემთხვევა არ შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი. ვინაიდან, ცხადია, ერთსა და იმავე დროს ორ სხვადასხვა სხდომაზე ერთდროულად გამოცხადება ფიზიკურად შეუძლებელია.[134]

[133] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინება საქმეზე #ას-1024-960-2010 http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

[134] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 22 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1352-1272-2017, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

# თავი 7. კვლევის შედეგები

ნაშრომში გამოვიკვლიეთ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი და ამ ინსტიტუტის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობაში. გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ინსტიტუტის მოწესრიგება წარმოადგენს ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობაში.

ის, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის შემოღება პროცესში შეჯიბრობითობისა და დისპოზიციურობის პრინციპის საფუძვლებიდან გამომდინარეობდა, რაც გამორიცხავდა სასამართლოს ჩარევას კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში, პრაქტიკაში ვერ მიიღო ის შედეგი, რა მოლოდინიც იყო აღნიშნული ინსტიტუტისადმი. სასამართლოს ჩაურევლობა, კერძოდ, ის საკითხი, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ ითვალისწინებს ფაქტობრივ გარემოებებს და საქმის განხილვა არ ხდება არსებითად. იმისათვის, რომ მართლმსაჯულება ეფექტური იყოს და ამავე დროს არ მოხდეს სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დარღვევა, პროცესში მონაწილე მხარეებისათვის აუცილებელია, იმის მიუხედავად, გამოცხადდება თუ არა მხარე პროცესზე მოსამართლემ საქმე განიხილოს არსებითად და მხოლოდ ამის საფუძველზე მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

მიუხედავად იმისა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პირობები ნათელია, დაუსწრებელი გადაწყვეტილების უმრავლესობა უქმდება იმ მოტივით, რომ დარღვეული იყო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი საკმაოდ რთულია.

მთლიანობაში ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. ნაშრომს დასასრულს აქვს დასკვნა, სადაც მიმოხილულია ნაშრომში გამოკვეთილი პრობლემური საკითხები, ძირითადი მიგნებები, შეფასება და მათი საბოლოო შეჯამება.

# დასკვნა

ნაშრომში მიმოვიხილეთ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის და გასაჩივრების თავისებურებანი.

თავიდან დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის მიზანი, როგორც საქმის გაჭიანურების თავიდან აცილება, საქმეთა სწრაფი და ეფექტური განხორციელება, მხარეთა პასუხისმგებლობა მათ მიერ შესასრულებელ საპროცესო ქმედებებზე, დროთა განმავლობაში თითქოს უფრო სადამსჯელო სახედ და სანქციად იქცა მხარისთვის.

ხშირ შემთხვევაში პრაქტიკაში სასამართლო მხარის გამოუცხადებლობას განიხილავს, როგორც საქმისადმი ინტერესის დაკარგვას და არ ითვალისწინებს და არ ახდენს დიფერენცირებას თუ რა ტიპის საქმეზე შეიძლება მიღებული იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რადგან საპროცესო კანონმდებლობაც არ ახდენს მსგავს დიფერენცირებას და სასამართლოც შესაბამისად, არ ითვალისწინებს მხარის ინტერესს.

სასამართლოს საპროცესო მოქმედებები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და რეალურად არ არის შედეგზე ორიენტირებული. მაგალითად, როგორიც არის კანცელარიის მიერ შესაგებლის წარდგენის ვადის განსაზღვრა, რომელიც საპროცესო ურთიერთობების მიღმა ტოვებს სასამართლოს, შესაბამისად კანცელარიის თანამშრომლის მიერ შესაგებლის ვადის განსაზღვრა არ წარმოადგენს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს, ამგვარ ფაქტს კი არ უნდა დაუკავშირდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

საჯარო შეტყობინების გამოქვეყნების წესი, როგორც წესი, ყოველთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ფორმალობაა და არა შედეგზე ორიენტირებული საპროცესო მოქმედება.

შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების სამართლებრივი ინსტიტუტის შემოღება საპროცესო კანონმდებლობაში გამოიწვია სააპროცესო ეკონომის პრინციპმა, თუმცა დღეის მდგომარეობით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პრაქტიკამ სულ სხვა შედეგამდე მიგვიყვანა. არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში საბოლოო შედეგის მიღწევა გაცილებით დიდ დროსთან არის დაკავშირებული ვიდრე სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვა.

მიმაჩნია, რომ სასამართლომ შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილება არცერთი კატეგორიის დავებთან მიმართებაში არ უნდა მიიღოს. ვინაიდან ყველა საქმე ინდივიდუალურია, ასევე ყველა სასარჩელო მოთხოვნა განსხვავებულ და ზოგჯერ

განსაკუთრებულ გულისხმიერებას მოითხოვს, თან გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები საზოგადოება არც ისეთი დიდი სამართლებრივი კულტურით გამოირჩევა რომ სწორად გაათვიცნობიეროს რისკი, რომელიც მის სამართალწარმოებაში მონაწილეობას არ მოყვება. ამიტომაც უმჯობესი იქნება თუ დაინიშნება ყველა ასეთ შემთხვევაში ზეპირი მოსმენა და სსსკ-ის 201-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხეს არ ექნება დამატებით მტკიცებულების წარმოდგენის უფლება, მოსამართლე კი ზეპირი მოსმენის დროს კიდევ ერთხელ გამოკვეთავს სარჩელში მითითებულ გარემოებებს, მის კანონის სისწორესთან მიმართებაში და მხოლოდ ზეპირი მოსმენის შემდეგ მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც გასაჩივრდება გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი წესით და ამით თავიდან იქნება აცილებული ის სამართლებრივი პროცედურები რომელსაც სსსკ იცნობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან მიმართებაში.

ნაშრომში ასევე გამოიკვეთა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების რეგულირების ისეთი ტიპი, რომელიც რეალურად არის არაეფექტური და ამავე დროს დროში გაწელილი. იმისთვის, რომ აღნიშნული პრობლემა აღმოიფხვრას, აუცილებელია დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი პირველივე ჯერზე გასაჩივრდეს სააპელაციო ინსტანციაში და არა იმავე მოსამართლესთან. რაც თავიდან აგვარიდებს საქმის გაჭიანურებას და დროში გაწელვას. ამ შემთხვევაშიც, დაუსწრებელი გადაწყვეტილების პრინციპი, როგორც საქმის ეფექტურად გადაწყვეტა, იკარგება.

ვფიქრობ, გასაჩივრების შემთხვევაში გერმანული კანონმდებლობის მსგავსად, დასაშვები საჩივრით პროცესი მარტივად, ყოველგვარი სხვა მოთხოვნის გარეშე უნდა დაუბრუნდეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს განსახილველად. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებამ უნდა გააქარწყლოს მოსაზრება, რომ მხარეს დაკარგული აქვს საქმისადმი ინტერესი, რადგანაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების დროს, მხარეს რეალურად გააზრებული აქვს საპროცესო მდგომარეობის სერიოზულობა.

მნიშვნელოვანი საკითხია, რომ პროცესის ეკონომიურობის პრინციპს არ უნდა მიენიჭოს უპირატესობა სამართლიანი სასამართლო უფლებასთან მიმართებაში. ამასთანავე, სწრაფი მართლმსაჯულება არის მხარის ინტერესი და არ შეიძლება მის წინააღმდეგ იქნას გამოყენებული, თუ რეალურად მხარის მიერ ყველა საპროცესო მოქმედების განხორციელებისას, სწრაფი მართლმსაჯულება სახეზე მაინც არ გვაქვს.

საბოლოოდ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოკვლევისას მრავალი პრობლემური საკითხი გამოიკვეთა, რომელზეც საჭიროა საკანონმდებლო ორგანოს რეაგირება, რათა აღმოიფხვრას კანონმდებლის ხარვეზები და აღნიშნული ინსტიტუტის დანერგვა საპროცესო

კანონმდებლობაში იყოს არა პრობლემური და სირთულეების, არამედ იმ შედეგის მომტანი, რომელიც მიმართულია მხარეთა თანასწორობაზე და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

ნაშრომში აღნიშნული პრობლემური საკითხების რეგულირების მინდობა მხოლოდ სასამართლო პრაქტიკაზე, ამ პრობლემებს ბოლომდე ვერ აღმოფხვრის, ამისთვის აუცილებელია აღნიშნული პრობლემების რეგულირება საკანონმდებლო დონეზე.

# ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა


**საკანონმდებლო აქტები:**

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი;

საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო (2021 წლის 19 ივნისის მდგომარეობით)

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბერი (2021 წლის 19 ივნისის მდგომარეობით)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი (2021 წლის 19 ივნისის მდგომარეობით)

საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 2009 წლის 4 დეკემბერი (2021 წლის 19 ივნისის მდგომარეობით)

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები:**

2019 წლის 13 მაისის განჩინება საქმეზე # ას-1569-2018

2016 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე #ას-121-117-2016

2017 წლის 23 ივნისის განჩინება საქმეზე # ას-341-319-2017

2018 წლის 29 ივნისის განჩინება საქმეზე # ას-1554-1474-2017

2010 წლის 9 დეკემბრის განჩინება საქმეზე # ას-953-896-2010

2008 წლის 14 აპრილის განჩინება #ას-162-431-08

2005 წლის 18 მარტის განჩინება #ას-67-407-05

2016 წლის 19 თებერვლის განჩინება #ას-914-876-2014

სუსგ 2002 წ. N7. გვ.1192-1195

2012 წლის 24 დეკემბრის განჩინება საქმეზე #ას-1532-1435-2012

სუსგ საქმე #№2/32-2013წ.

2010 წლის 20დეკემბრის განჩინება საქმეზე #ას-1024-960-2010

2018 წლის 22 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1352-1272-2017

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:**

2016 წლის 29 მარტის განჩინება საქმეზე საქმეზე №2ბ/33-15

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება:**

2017 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „გახარია საქართველოს წინააღმდეგ“

**სამეცნიერო მასალები:**


1. Бергманн, В. (2016). *Гражданское процессуальное уложение Германии 1877.* Москва- Берлин.

2. ავტორთა კრებული. (2020). *სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები.* თბილისი: GIZ.

3. არხოშაშვილი, ლ. (თ. გ.). 14. ლეილა არხოშაშვილი. n.d. საკანონმდებლო ინიციატივა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232 პრიმა და 201-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. *საქართველოს პარლამენტი.*

4. არხოშაშვილი, ლ. (2013). პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხები, რომლებიც ეხება სარჩელისგან მოპასუხის პროცესუალურ თავდაცვის საშუალებებს. *გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე # 2.*

5. ბასილაია, ფ. (2010). მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობის შედეგები. *მართლმსაჯულება და კანონი 4(24)10* .

6. ბასილაია, ფ. (2016). დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო. *გონი # 4.*

7. ბოელინგი, ჰ., & ჭანტურია, ლ. (2003). *სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა.* თბილისი: ჯისიაი .

8. თვარაძე, ლ. (2011). დაუსწრებელი გადაწყვეტილების მნიშვნელობა და მისი მიღების წინაპირობები სამოქალაქო პროცესში. *სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის პირველი სამეცნიერო კრებული.*

9. ირემაშვილი, მ. (თ. გ.). შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შედარებითი ანალიზი საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით.

10. ლილუაშვილი, თ. (2005). *სამოქალაქო საპროცესო სამართალი II გამოცემა.* თბილისი: ჯისიაი.

11. ლილუაშვილი, თ., & ხრუსტალი, ვ. (2007). *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენატარები.* თბილისი: სამართალი.

12. მერებაშვილი, ი. (2007). დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში. *მართლმსაჯულება # 3.*

13. მერებაშვილი, ი. (2016). დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურებები I და II ინსტანცის სასამართლოში ქართული და გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონდებლობის მიხედვით. . *თემიდა N10(12).*

14. ობოლაძე, ე. (2013). დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში. *თემიდა #8 (10).*

15. საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2010). პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეებისთვის. *საქართველოს უზენაესი სასამართლო.*

16. სულხანიშვილი, მ. (2015). სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც საპროცესო დოკუმენტი და მისი გასაჩივრების ფორმები მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით. *მართლმსაჯულება და კანონი N4 (47)15* .

17. ქურდაძე შ., & ხუნაშვილი ნ. ( 2015). *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი.* თბილისი: მერიდიანი.

18. ქურდაძე, შ. (2006). *სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში.* თბილისი: მერიდიანი.

19. ქურდაძე, შ. (2006). *სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში.* თბილისი: მერიდიანი.

20. ქურდაძე, შ., & ხუნაშვილი, ნ. (2012). *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი.* თბილისი: მერიდიანი.

21. ჩხაიძე, ს. (2012). დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესში-ძირითადი პრობლემები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი. . *მართლმსაჯულება და კანონი N4* .

**ელექტრონული რესურსები:**

www.library.court.ge - სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა

prg.supremecourt.ge - საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამა

https://ecd.court.ge/Decision - სასამართლო გადაწყვეტილებების საძიებო პროგრამა

https://matsne.gov.ge/ka - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

https://www.nplg.gov.ge/geo/home - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

http://parliament.ge/ge/ - საქართველოს პარლამენტი

**ვიდეო ლექციები:**

https://www.youtube.com/watch?v=aIWEY6Bk8bA - გოდერძი გიორგიშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება, საქართველოს მოსამართლეთა ერთობა (UJG)

https://www.youtube.com/watch?v=bzwGngn9MmM - ბესიკ სისვაძე, სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები, საქართველოს მოსამართლეთა ერთობა (UJG)

https://www.youtube.com/watch?v=LCD99bGYYa0 - შალვა ქურდაძის საჯარო ლექცია სააპელაციო სასამართლოში თემაზე - პირველი ინსტანციითსამოქალაქო საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესების გამოყენება სააპელაციო სასამართლოში, 2014